მათ ისახელეს თავი

ბრისაბაძი თაოსნობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

წითელწყაროს რაიონის მექანიზატორთა ინიციატივის შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ინიციატივა წითელწყაროს რაიონის მექანიზატორებისა, რომლებმაც ვალდებულება იკისრეს გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების შეკეთების წარმატებით ჩატარებისათვის, რაც გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტში“ 1965 წლის 4 დეკემბერს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს შეამოწმონ, თუ როგორ მიმდინარეობს ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების შეკეთება კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, „საქსოფლტექნიკის“ გაერთიანებებსა და განყოფილებებში, აღმოფხვრან ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებანი, უზრუნველყონ რემონტის დამთავრება ხარისხოვნად და დადგენილ ვადებში.

რესპუბლიკური, საოლქო და რაიონული გაზეთების რედაქციებს დაევალათ ფართოდ გააშუქონ რესპუბლიკის მექანიზატორთა სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების შეკეთების წარმატებით ჩატარების საქმეში. (საქდესი).

ბრისაბან ბაბიშვილი ჯაბუკი იყო. შვიდწლედის დამდეგს თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხანაში რომ მივიდა. ჯერ შეგირდი იყო, შემდეგ მეავტომატე ზეინკალი გახდა. ტრისტანი წლითიწლობით სრულყოფდა თავის ოსტატობას და ახლა მაღალკვალიფიციური მუშაა. შვიდწლედის ეს გმირი მეორე ხელობას — გაზშემდუღებლის პროფესიასაც ეუფლება. წარმატებით ამთავრებს შრომითს წელიწადს — უკვე შეასრულა თითქმის ორი წლიური ნორმა. კომუნისტური შრომის ბრიგადაში, რომელსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. პაპინაშვილი ხელმძღვანელობს, ტრისტანი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს. მიმდინარე წლის მაისში სკკპ წევრად მიიღეს. განზრახული აქვს ახლო მომავალში მიიღოს უმაღლესი განთლება თავისი მშობლიური ქარხნის დაუტოვებლად.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

მექანიზატორების შრომითს ვასტეზე

სიღნაღი. (საკ. კორ.). „საქსოფლტექნიკის“ სიღნაღის რაიონული გაერთიანებისა და კოლმეურნეობათა სახელოსნოებში დღედაღამ არ წყდება დაზგა-დანადგარების ხმაური. მექანიზატორები საგულდაგულოდ უკეთებენ რემონტს ტრაქტორებს, სათესებს, გუთნებს, რომ საგაზაფხულო ხვნა-თესვის დროს იარაღ-მანქანებმა გამართულად, შეუფერხებლად იმუშაონ.

წითელწყაროელ მექანიზატორთა მიმართვას საქმიანად გამოეხმაურნენ ნუკრიანის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ მექანიზატორები, რომლებსაც ინჟინერ-მექანიზატორი გ. ნადირაშვილი მეთაურობს. ნუკრიანელებმა უკვე გადამეტებით გაანაღდეს იარაღ-მანქანების შეკეთების მეოთხე კვარტალის დავალება. რემონტიდან გამოშვებულია ოთხი ტრაქტორი, ამდენივე გუთანი, სათესები, სათიბები და სხვ.

მაღაროს კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადამ, რომელსაც რეპუბლიკის დამსახურებული მექანიზატორი ი. ბაიდოშვილი ხელმძღვანელობს, [illegible] ბრიგადა [illegible] რემონტი. [illegible] ხელმძღვანელობენ [illegible] ინჟინერ-მექანიზატორები [illegible] ბელებად მექანიზატორები ბეჯითად შრომობენ. მეოთხე კვარტალის დავალება უკვე გადამეტებით გაანაღდეს.

წითელწყაროელ მექანიზატორთა მიმართვას გამოეხმაურნენ აგრეთვე ულიანოვკის, ტიბაანის, საკობოსა და სხვა კოლმეურნეობათა მექანიზატორები.

სიტყვა და საქმე

თელავი. (საკ. კორ.). „სანიმუშოდ მოვამზადოთ“ ტექნიკა გაზაფხულისათვის“. წითელწყაროელ მექანიზატორთა ამ მიმართვას „საქსოფლტექნიკის“ თელავის განყოფილების კოლექტივი საქმიანად გამოეხმაურა. თელაველებმა იკისრეს ტრაქტორების 1965 წლის მეოთხე კვარტალისა და 1966 წლის პირველი კვარტალის რემონტის გეგმები შეასრულონ საქართველოს კპ XXIII ყრილობის გახსნის დღისათვის, ხოლო კომბაინებისა და სხვა იარაღ-მანქანების რემონტის გეგმები კპ XXIII ყრილობის გახსნის დღისათვის. ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მოაწყონ ტრაქტორების მომსახურების პუნქტები და საწვავის გასაწყობი სპეციალური მოედნები. პირველ კვარტალში დაამთავრონ სარემონტო სახელოსნოს რეკონსტრუქცია და სხვ.

თელაველმა მექანიზატორებმა პირობის გასანაღდებლად მუშაობა გააცხოველეს. უკანასკნელ ათდღიურში გეგმით გათვალისწინებულზე იქსეს ტრაქტორით ეტი შეაკეთეს. ხარატი გ. არჯევანაძე, მჭედელი გ. მჭედლიშვილი, შემდუღებელი რ. ჯაშვანაშვილი, მერემონტე ვ. ყუშიტაშვილი და სხვები დღიურ დავალებას 120-150 პროცენტით ასრულებენ. მათ ნახელავს წუნს ვერავინ დასდებს.

ვინ ისახელა თავი?

გვიახლოვდება ახალი წელი. მალე ჩვენი დიადი ქვეყნის მშრომელები 1965 წელს, შვიდწლედის უკანასკნელ წელს, გააცილებენ მადლიერების გრძნობით. იგი, რჩება რა ისტორიაში, თავისზე ტოვებს კეთილ მოგონებებს, გამოსახულს ცოცხალ საქმეებში, ყოველივე იმაში, რაც გაკეთდა შვიდწლედის განმავლობაში, კერძოდ 1965 წელს, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით.

გაკეთდა კი, პირდაპირ უნდა ითქვას, ბევრი რამ. ნათქვამია, წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანო. ჰოდა, ჩვენი შემოდგომა სამეურნეო წლის ბოლო თვეა, მისი ბოლო დღე. მართალია, შვიდწლედის საბოლოო შედეგი, ბუნებრივია, შეჯამდება რამდენადმე გვიან, მაგრამ ყველა უკვე ნათლად ხედავს, გრძნობს, რომ სახალხო მეურნეობის, ჩვენი ეკონომიკის განვითარების გრანდიოზულმა პროგრამამ ფრთები შეისხა.

საქმეს ოსტატისა ეშინიაო, ტყუილად როდია ნათქვამი. და ეს ოსტატი ჩვენი ხალხია, გამრჯე და შემოქმედი.

გამარჯვებები კი თავისთავად როდი მოდის. მათ ჰედავს ჩვენი მუშის, კოლმეურნე გლეხის, სპეციალისტის, მეცნიერის დაუღალავი შემოქმედებითი შრომა. შრომა კი ჩვენში დიდებისა და სახელის საქმეა...

ახალი წლის — 1966 წლის წინადღეებია. საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში უჩვეულო შრომითი პათოსია. ეს გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და სექტემბრის ისტორიულმა პლენუმებმა. ბრძნული გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის მასობრივი ბრძოლაა გაჩაღებული. სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და მრეწველობის მართვის გაუმჯობესებისათვის დაგეგმვის სრულყოფისა და სამრეწველო წარმოების ეკონომიური სტიმულირების გაძლიერებისათვის ბრძოლავს დიდი და პატარა.

ყოველ წელიწადს თავისი ხელოვანიანი, ახალი გმირები ჰყავს. ჩვენდა საბედნიეროდ ამ მკლავდალოცვილ ადამიანთა რიცხვი სარეკორდოდ გაიზარდა. ისინი ყველგან არიან — მთაში თუ ბარში, მიწის ქვეშ შახტში, თუ ხალიჩასავით გაშლილ ნარინჯოვან პლანტაციებში, ჩონგურის ლარივით გაბმულ მადლიან ვენახებში, ჩარხთან თუ ელმავლის საჭესთან...

ხალხმა მათ შრომის დამკვრელნი უწოდა. ყოველ კოლექტივს — ბრიგადას, საამქროს, ფაბრიკასა თუ ქარხანას ჰყავს თავისი გმირები, უყვართ ისინი, პატივს სცემენ. ამ ადამიანების სურათებსა და გვარებს საპატიო დაფაზე და წიგნში ათავსებენ. მაგრამ ეს როდი კმარა! მათი სახელები ქვეყანამ უნდა იცოდეს. ვიცოდეთ, თუ 1965 წელს შრომით განსაკუთრებით ვინ ისახელა თავი, ვინ იყო კოლექტივის ყველაზე ხელოვანი მუშა, კოლმეურნე გლეხი, ინჟინერი თუ მეცნიერი, რომ მათ მხარს უსწორებდეს ჩვენი ახალგაზრდობა, რომ სამშობლოს მომავალშიც უმრავლოს მუყაითი მშრომელი ადამიანთა რიცხვი!

ამტომ მოგმართავთ თქვენ, ძვირფასო მკითხველებო, მონაწილეობა მიიღოთ ამ ადამიანთა შრომითი საქმეების გაშუქებაში, მოგვაწოდოთ წერილები, ნარკვევები, საინტერესო ცნობები, თუ ვინ ისახელა თავი, ვინ არიან ეს ადამიანები, თუ რით ეგებგებით ახალ წელს, როგორი პერსპექტივები გესახებათ 1966 წლისათვის?

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი | № 296 (13381) | ხუთშაბათი, 16 დეკემბერი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

მექანიზატორებო!

უზრუნველყავით ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის დამთავრება სარისხოვნად, დადგენილ ვადებში!

ვინ ისახელა თავი 1965 წელს?

რენტაბელურად, ქმედითად წარვმართოთ სოფლის მეურნეობა!

სანიმუშოდ გამოვაზამთროთ ვირუტყვი!

ჩვენი პარტია ახლა ასე აყენებს საკითხს, საჭიროა განვითარების ისეთ დონეზე ავიყვანოთ სოფლის მეურნეობა, რომ უმოკლეს ვადაში უზრუნველყოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილება. ეს ამოცანა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა განსაზღვრა როგორც კომუნისტური მშენებლობის დამკვრელი ფრონტი.

საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ენერგიულად ემზადებიან, რათა ღირსეულად შეხვდნენ მშობლიური პარტიის XXIII ყრილობას. კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან მოდის სასიხარულო ცნობები საყრილობო შეჯიბრების გაჩაღების, სასოფლო-სამეურნეო წლის წარმატებით დამთავრების შესახებ.

ნაოფიერად შრომობენ მეცხოველეობის ფერმების მუშაკები, მიღწეულია პირველი წარმატება, წარშანდელთან შედარებით სახელმწიფომ დიდი რაოდენობით მიიღო მეტი ხორცი, კვერცხი, რძე და მეცხოველეობის სხვა პროდუქტები.

ცოტა როდია ისეთი რაიონები, რომლებიც უნარიანად იყენებენ მიწას, იღებენ მეცხოველეობის უხვ პროდუქტებს თვითეულ ჰექტარზე. ამ მხრივ აღსანიშნავია ქარელის რაიონის მეცხოველეთა შრომა. პარტიის ქარელის რაიკომში ინახება საპატიო ჯილდო — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც ამ რაიონის მშრომელებს მიმდინარე წლის მეორე და მესამე კვარტალში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის საქმეში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის მიეკუთვნათ.

— არ დავთმობთ საპატიო ჯილდოს, განვამტკიცებთ მოპოვებულ წარმატებებს, — განაცხადეს ქარელელმა მეცხოველეებმა, დროშა რომ ჩაიბარეს, და მართლაც ახალი ძალით გააჩაღეს ბრძოლა ხორცის, რძის და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების გასაღიდებლად. შედეგიც საამაოა. ყველა სახეობის მეცხოველეობის პროდუქტების წლიური გეგმა ვადაზე ერთი თვით ადრე გაანაღდეს.

ცუდათ როდი მუშაობენ თეთრი წყაროს, ბოგდანოვკის, მცხეთის, მაიაკოვსკის, ონის, ამბროლაურის, ბორჯომის, ვანის, წალენჯიხის, საჩხერის, ხობის, მახარაძის, აბაშის, ცხაკაიას, თელავის, ლაგოდეხის და სხვა რაიონების მეცხოველეები.

მეცხოველეობაში მომხდარი თვისებრივი ცვლილებანი მოწმობენ, რომ სოფლის მეურნეობის ეს საარსებო მნიშვნელოვანი დარგი ადგება ინტენსიური განვითარების გზას. თერთმეტ თვეში შარშანდელთან შედარებით ერთ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია 129 კილოგრამით მეტი რძე. ახლა ამოცანა ის არის, რომ განვამტკიცოთ მიღწეული და მოვიპოვოთ ახალი წარმატებანი.

მეცხოველეობისათვის დადგა ყველაზე რთული და პასუხსაგები პერიოდი — პირუტყვის გამოზამთრების პერიოდი. უნდა ვიცოდეთ, რომ ზამთარი საშიში არ არის იქ, სადაც წინასწარ მოემზადნენ. საკმაოდ უზრუნველყვეს პირუტყვი სხვადასხვა საკვებით და კეთილმოწყობილი სადგომებით. შექმნეს კარგი პირობები ადამიანთა ნაყოფიერი შრომისათვის.

თუმცა ამინდის პირობები ხელსაყრელი არ იყო, მაგრამ მთლიანად ჩვენს რესპუბლიკაში თივა, ჩალა, სილოსი და სხვა საკვები დამზადებულია შარშანდელზე გაცილებით მეტი. ამ საქმეში ქების ღირსი არიან ლაგოდეხის, ფშავლის, დმანისის, ყაზბეგის, თერჯოლის, საჩხერის, ლენტეხის რაიონები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

სამწუხაროდ, ყველგან ჯეროვანი მზრუნველობით როდი ეკიდებიან საზოგადოებრივი მეცხოველეობის საჭირიმებს. მაგალითად, ახალქალაქის რაიონში პირუტყვისათვის უხეში საკვები უნდა დაემზადებინათ 64.569 ტონა. ზამთარი დაიწყო, აღნიშნული სამუშაო კი შესრულებული აქვთ მხოლოდ 65,8 პროცენტით. საკვების დამზადების მხრივ უკეთესი მდგომარეობა არც ახალციხის, ახმეტის, ვანის და მთელ რიგ სხვა რაიონებსა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკაშია. ცხადია, ყოველივე ეს საფრთხეს უქმნის პირუტყვის ნორმალურად გამოზამთრებას, ზარალს აყენებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკას.

პირუტყვისათვის მომარაგებული მთელი საკვები უნდა აღვრიცხოთ, უზრუნველვყოთ მისი კარგად შენახვა. თვითეულ კოლმეურნეობაში, თვითეულ ფერმაში პირუტყვის პროდუქტიულობის დონისა და რეალურ შესაძლებლობათა შესაბამისად უნდა დაწესდეს საკვების ხარჯვის ყოველთვიური ლიმიტები. არც ერთი კილოგრამი მარცვალი, თივა, სილოსი არ უნდა დაიხარჯოს ისე, რომ მნიშვნელოვანი სარგებლიანობა არ მოგვცეს.

არიან კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების ისეთი ხელმძღვანელები, რომლებიც უპასუხისმგებლოდ მიუდგნენ პირუტყვის გამოზამთრებას. სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ ცხინვალის რაიონის სოფელ ქემერტის კოლმეურნეობაში პირუტყვი უზრუნველყოფილი არ არის საკვებით, სანახევროდაც არ შეუნახულებიათ უხეში საკვებისა და სილოსის დამზადების გეგმები. ეს მაშინ, როცა დიდძალი ჩალა აუღებელი დარჩათ და თოვლმა დაფარა.

ბევრგან შაქრის ჭარხლის ფოჩი უპატრონოდ ყრია და მის გამოყენებაზე არ ფიქრობენ. ამ მხრივ ცუდი მდგომარეობაა ამავე რაიონის ბელოთის კოლმეურნეობაში. პირუტყვი ისე დაბინავეს, რომ ზამთრის სადგომები არ შეუკეთებიათ, აქ სიცივე და ანტისანიტარიაა. ეს უარყოფითს გავლენას ახდენს წველადობაზე. შარშან აქ ოქტომბერში აწარმოეს 8.511 ლიტრი რძე, წელს კი — მხოლოდ მისი ნახევარი. ნოემბერში მეტად ცუდი მდგომარეობა იყო. გაწყდა რამდენიმე სული პირუტყვი, ხოლო ბერწად დარჩა რამდენიმე ათეული. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ს. არჩვაძე და პარტიული ორგანიზაციის მდივანი პ. ტერაშვილი ყოველივე ამას რატომღაც ურიგდებიან.

მსგავსი ფაქტები სხვა რაიონებშიც არის. ბოლო უნდა მოეღოს უზრუნველობას პირუტყვის გამოზამთრებაში, ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ წარმატებით გამოზამთრებისათვის.

როგორც ცნობილია, ათასობით სული პირუტყვი ზამთარს ატარებს სამმართველო ძაძოვრებზე. უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ აქ შეეკმნათ საკვების სადაზღვევო მარაგი.

პირუტყვის გამოზამთრების წარმატება ბევრად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არიან უზრუნველყოფილი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები საკვების გადასამუშავებელი მანქანებით, რამდენად უნარიანად იყენებენ ამ მანქანებს. ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის მეურნეობებს ათასობით აქვთ უხეში და წვნიანი საკვების საქუცმაცებელი, ორთქლის წარმომქმნელი, შემამზადებელი და სხვა მექანიზმები. ეს ტექნიკა საშუალებას იძლევა არა მარტო გავადიდოთ საკვების გამოყენების ეფექტიანობა, არამედ კიდევაც შევამუშავოთ მეცხოველეთა მუშაობა, გავადიდოთ მათი შრომის ნაყოფიერება.

მეცხოველეობის პროდუქტების გადიდებასთან ერთად მთავარია მიღებული პროდუქტების თვითღირებულების შემცირება. ეს კი დიდად არის დამოკიდებული შრომატევად საქმეთაოთა მექანიზაციაზე. ამ მხრივ ჩვენს რესპუბლიკაში ყოველ წელიწადს ძლიერდება მუშაობა. მაგრამ ზოგან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ეფექტურად როდი იყენებენ ამ ტექნიკას. მაგალითად, მარნეულის რაიონის ფერმებში 12 საწველი აგრეგატიდან მხოლოდ ორი მუშაობს. მსგავს ფაქტებს ბოლნისის, წითელწყაროს და სხვა რაიონებშიც ვხვდებით.

ვინც ვერ ამჩნევს, ურიგდება ჩამორჩენას საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში, მას არ ძალუძს წარმატებით უხელმძღვანელოს საქმეს, უზრუნველყოს მეცხოველეობის შემდგომი განვითარების დიადი ამოცანის შესრულება. ამიტომ პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებმა კიდევ უფრო ოპერატიული, კონკრეტული და ქმედითი უნდა გახადონ ადგილებზე თავიანთი მუშაობა, ისე წარმართონ მეურნეობა, როგორც ამას სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებები მოითხოვს.

ჭიათურელები პირობას ანაღდებენ

ჭიათურელი მადაროელები, რომლებიც სკკპ XXIII და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობების ღირსეულად შეხვედრისათვის რესპუბლიკაში ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორები არიან, თანმიმდევრულად, პირნათლად ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს.

გუშინ ახალი ითხვისის მაღაროელებმა რედაქციას გამოუგზავნეს დეპეშა. იქ ნათქვამია:

სიხარულით გაცნობებთ, რომ მაღარო ახალი ოხვისის კოლექტივმა, რომელიც წინასაყრილობო შრომითს ვახტზე დგას, აღებული ვალდებულება, რომ 15 დეკემბრისათვის შეესრულებინა მარგანეცის სასაქონლო პროდუქციის დამზადების შვიდწლიანი გეგმა 11 დეკემბრისათვის 100,3 პროცენტით გაანაღდა.

გეგმის გადამეტებით დამზადებულია 9.611 ტონა სასაქონლო მარგანეცი. წლის ბოლომდე ჩვენი კოლექტივი ახალი ხუთწლიანი გეგმის ანგარიშში სამშობლოს დამატებით კიდევ რამდენიმე ათას ტონა სასაქონლო მარგანეცს მისცემს.

მეგობრული ვიზიტი

11-14 დეკემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით საბჭოთა კავშირში მეგობრული ვიზიტით იყვნენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იანოშ კადარი და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბელა ბისკუ.

საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს ამხანაგები ი. კადარი და ბ. ბისკუ შეხვდნენ და ესაუბრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნინს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ხელმძღვანელებმა ერთმანეთს გაუცვლეს, თუ როგორ მიმდინარეობს სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობა თავიანთ ქვეყნებში, განიხილეს საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ურთიერთობის საკითხები და ერთმანეთს გაუზიარეს აზრები ახლანდელი საერთაშორისო ვითარებისა და მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის პრობლემებზე. ორივე მხარემ მაღალი შეფასება მისცა იმ ურთიერთობას, ძმურ მეგობრობასა და შეხედულებათა სრულ ერთიანობას, რაც საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და უნგრეთის სოციალისტურ მუშათა პარტიას შორის არსებობს. შეხვედრის მონაწილეებმა კმაყოფილება გამოთქვეს იმასთან დაკავშირებით, რომ წარმატებით ვითარდება სსრ კავშირისა და უნგრეთის ყოველმხრივი თანამშრომლობა, და განიხილეს მისი შემდგომი გაფართოების შესაძლო ღონისძიებანი.

საბჭოთა და უნგრელი ხელმძღვანელების საუბრები გულითადი მეგობრობისა და სრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში მიმდინარეობდა.

საუბრებში მონაწილეობდნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. ანდროპოვი, უნგრეთის მხრივ — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ი. სიპკა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ჯ. ერდეი.

ამხანაგების ი. კადარისა და ბ. ბისკუს პატივსაცემად სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა სადილი გამართა.

14 დეკემბერს ამხანაგები ი. კადარი და ბ. ბისკუ სამშობლოში გაემგზავრნენ. მოსკოვის კიევის ვოგზალზე ისინი გააცილეს ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ი. ვ. ანდროპოვმა და სხვ.

გამცილებელთა შორის იყო აგრეთვე უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ი. სიპკა.

გამოცდილებას უზიარებენ

მოსკოვი, 14 დეკემბერი. (საკდესი). ასეულათასობით მანქანა მუშაობს ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. როგორ გამოიყენონ უფრო რაციონალურად მანქანა-ტრაქტორის პარკი, რა გზები უნდა გამოძებნონ, რომ შეამცირონ ტექნიკის შეკეთების ხარჯები და გაუმჯობესონ შეკეთების ხარისხი. აგრეთვე როგორ მიაღწიონ თითოეული მანქანის მაქსიმალურ დატვირთვას — ამ საკითხებს განიხილავენ მოკავშირე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროების, „სოფლტექნიკის“ ხელმძღვანელ მუშაკთა, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მეცნიერთა სრულიად საკავშირო თათბირზე, რომელიც დღეს გაიხსნა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროში.

მოლაპარაკება კრემლში

15 დეკემბერს კრემლში გაიმართა საბჭოთა ხელმძღვანელებისა და ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარის, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ჰუარი ბუმედიენის მოლაპარაკება.

მოლაპარაკების დროს ამხანაგურ და გულახდილ ვითარებაში განაგრძეს აზრთა მეგობრული ურთიერთგაზიარება წინა შეხვედრის დროს განხილულ საკითხებზე, მთ შორის საერთაშორისო მდგომარეობის ზოგიერთ აქტუალურ პრობლემაზე.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი და სხვა ოფიციალური პირები.

ალჟირის მხრივ ჰუარი ბუმედიენთან ერთად მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ რევოლუციური საბჭოს წევრი, საგარეო საქმეთა მინისტრი აბდელაზიზ ბუტიფლიკა, რევოლუციური საბჭოს წევრები მოჰამედ ტაიბი ლარბი, მულაი აბდელკადერი (შაბუ) და აბდალა ბელხუშეტი და სხვები.

ეკონომიკის პროგლემები და ტექნიკური პროგრესი

მოსკოვი, 14 დეკემბერი. (საკდესის კორ.). დღეს მეცნიერთა სახლში დამთავრდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება, რომელმაც ორ დღეს გასტანა. კრება მიეძღვნა ეკონომიური განვითარებისა და ტექნიკური პროგრესის პრობლემებს.

დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს აკადემიკოსებმა კ. ვ. ოსტროვიტიანოვმა, ს. ლ. სობოლევმა, მ. ა. სტარიკოვიჩმა, პ. ლ. კაპიცამ, ვ. მ. გლუშკოვმა, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტებმა ნ. ნ. ნეკრასოვმა, ტ. ს. ხაჩატუროვმა და სხვებმა.

დღევანდელ სხდომაზე მოისმინეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ვ. პ. დიაჩენკოსა და აკადემიკოს ნ. პ. ფედორენკოს მოხსენებანი, რომლებმაც გააშუქეს ფისწარმომქმნისა და სოციალისტური მეურნეობის ოპტიმალური დაგეგმვის პრობლემები.

დასკვნით სიტყვაში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა მ. ვ. კელდიშმა შეაჯამა დისკუსიის შედეგები, ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა მეცნიერული შემოქმედების მთელი უზარმაზარი რეზერვების გამოყენება იმ ამოცანების შესრულებისათვის, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა დასახა.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ მიიღო დადგენილება, რომელშიც კერძოდ, აღნიშნულია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს უფრო მჭიდრო კავშირსა და ურთიერთშემქმედებას ეკონომიური მეცნიერებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერების განვითარებისათვის. საბჭოთა მეცნიერების ამოცანაა, აღნიშნულია დადგენილებაში,—შეიმუშაონ სახალხო მეურნეობის ოპტიმალური დაგეგმვის, მრეწველობის ხელმძღვანელობის ახალი სისტემის ორგანიზაციულ-სამართლებრივი პრობლემების, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის თეორიული საკითხებისა და სამუშაო დროის გამოყენების მეცნიერული საფუძვლები და მეთოდოლოგია.



ზუსტად დროიდან მოდის ხალხის მიერ შექმნილი მითი კეთილ თოვლის პაპაზე. ყველას — დიდსა და პატარას ახარებს მისი მობრძანება, მას ხომ ახალი წლის სიხარული მოაქვს.

ძვირფასო მკითხველო, თქვენს სასურველ სტუმარს ქრემლის მაცხოვრის კომშუ ხედავთ. ყველაზე მთავარი თოვლის პაპა თავის მალვიძარას კურანტებზე — სახელმწიფოს მთავარ საათზე ასწორებს — ღმერთმა, ნუ ქენას და დაგვიანოს, საცაა 12 დაირეკება — მოდის ახალი წელი, დღეებს ითვლის სახელოვანი 1965.



საკლესის ცნობა

1965 წლის 16 დეკემბრიდან 1966 წლის 1 ივნისამდე საბჭოთა კავშირში იწარმოებს კოსმოსური აპარატების დაჯდომის სისტემის ერთ-ერთი ვარიანტის გამოცდები.

ამასთან მატარებელი რაკეტების ცალკეული ელემენტები დავარდება წყნარი ოკეანის აკვატორიის რაიონში, რომლის კუთხეთა კოორდინატებია:

ჩრდილოეთის განედის 43 გრადუსი და 44 მინუტი,
დასავლეთის გრძედის 179 გრადუსი და 07 მინუტი,
ჩრდილოეთის განედის 44 გრადუსი და 17 მინუტი,
დასავლეთის გრძედის 177 გრადუსი და 49 მინუტი,
ჩრდილოეთის განედის 42 გრადუსი და 01 მინუტი,
დასავლეთის გრძედის 176 გრადუსი და 04 მინუტი,
ჩრდილოეთის განედის 41 გრადუსი და 33 მინუტი,
დასავლეთის გრძედის 177 გრადუსი და 22 მინუტი.

საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საბჭოთა კავშირის მთავრობა სთხოვს სხვა ქვეყნების მთავრობებს, რომლებიც საზღვაო და საჰაერო გზებით სარგებლობენ წყნარ ოკეანეში, მისცენ მითითება შესაბამის ორგანოებს, რომ გემები და თვითმფრინავები არ შევიდნენ აკვატორიისა და საჰაერო სივრცის ამ რაიონში ყოველდღიურად დღის პირველ ნახევარში 0 საათიდან 12 საათამდე ადგილობრივი დროით.

საბჭოთა კავშირში ვადამდე დამთავრდა მატარებელი რაკეტების გაშვების პროგრამა წყნარი ოკეანის აკვატორიის რაიონში, რომლის ცენტრის კოორდინატებია სამხრეთის განედის 0 გრადუსი და 5 მინუტი და დასავლეთის გრძედის 163 გრადუსი და 45 მინუტია, რომელიც გამოცხადებული იყო 1965 წლის 25 ნოემბერს.

ამასთან დაკავშირებით საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ ამა წლის 15 დეკემბრიდან ეს რაიონი თავისუფალია საზღვაოსნოდ და საფრენად.

მშვიდობა ვიეტნამს!

საქართველოს მშრომელთა საპროტესტო ხმა

თბილისის ქარხანა „ელექტროშედუღების“ კოლექტივი პროტესტს აცხადებს ვიეტნამის უარაღური ომის წინააღმდეგ, რომელიც გაარაღეს ამერიკელმა იმპერიალისტებმა. საწარმოს მუშებმა და სპეციალისტებმა მოაწყვეს მიტინგი ლოზუნგით: „აგრესორებო, წაეთრიეთ ვიეტნამიდან!“.

მიტინგი გახსნა ქარხნის პარტიულის მდივანმა გ. გოდერძიშვილმა. მან თქვა:

— ძნელია გამონახო სიტყვები, რათა გამოხატო დიდი აღშფოთება, ამერიკელი ინტერვენტების დანაშაულობათა გამო, რომლებიც სჩადიან საშინელ მხეცობას სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი პატრიოტების მიმართ. ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, ვიეტნამელი პატრიოტების მხარეზე ვართ. აგრესორებს საკადრისი უნდა მიეზღოთ.

— ამ პროტესტების მიუხედავად, — ამბობს ამწყობი ზეინკალი რ. ნადიევი, — რომლებიც ყველა კონტინენტიდან გაისმის, ამერიკის მხედრიონი აფართოებს ბარბაროსულ ომს ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. როგორც ჩანს, პენტაგონმა ვიეტნამი აირჩია პოლიგონად, სადაც ხვეწავენ დიდი ომის მეთოდებს, სადაც მშვიდობიან ადამიანებზე ცდიან უახლეს სამხედრო ტექნიკას.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც იწონებენ და მხარს უჭერენ საბჭოთა მთავრობის ნათელ და მკაფიო პოლიტიკას, რომელმაც მკაცრად დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების აგრესია ვიეტნამის მიმართ.

თბილისის „ელექტროიზოლიტის“ ქარხანაში დიდი აღმავლობით ჩაიარა ამერიკელ აგრესორთა წინააღმდეგ მებრძოლ ვიეტნამელ ხალხთან სოლიდარობის მიტინგმა. საწარმოს მშრომელებმა ერთსულოვნად განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას, რომელიც ეხმარება ვიეტნამელ ძმებს.

— მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანთა, ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხის თვალი მიპყრობილია ვიეტნამისაკენ, სადაც უსაშინელეს დანაშაულს სჩადის ამერიკის იმპერიალიზმი. შეერთებული შტატების თავით ფეხამდე შეიარაღებული 160 ათასიანი არმია იყენებს ხალხის განადგურების ბარბაროსულ მეთოდებს, მათ შორის მომწამვლელი გაზებსა და შხამიან ნივთიერებებს, აწარმოებს ფართო საბრძოლო მოქმედებას სამხრეთ ვიეტნამის წინააღმდეგ. მაგრამ დაე იცოდნენ აგრესორებმა, რომ ვერ დაიჩოქებენ გმირ ვიეტნამელ ხალხს. სირცხვილი და დამარცხება — აი რა მოელით ამერიკის შეერთებულ შტატებს, თუ ისინი კვლავაც განაგრძობენ თავიანთ აგრესიულ კურსს! — განაცხადა მიტინგზე წარმოების მოწინავე მუშაკმა, კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა რ. ბარნოვამ.

მიტინგზე გამოვიდნენ აგრეთვე საამქროს უფროსი ი. ქებურია, საამქროს უფროსის მოადგილე რ. ნაგორნი და სხვები.

ქარხნის მშრომელები, ნათქვამია მიღებულ რეზოლუციაში, გადაჭრით აცხადებენ: „ხელები შორს ვიეტნამისაგან! თქვენთან ვართ, ძვირფასო ვიეტნამელო მეგობრებო!“.

ვენტაგონის აგრესიული საომარი მოქმედება ვიეტნამის მიწა-წყალზე საბჭოთა ადამიანების აღშფოთებასა და გულისწყრომას იწვევს, — განაცხადა თბილისის № 1 საშუალო სკოლის დირექტორმა ნ. კიკვაძემ საპროტესტო მიტინგზე, რომელიც ამ სკოლაში გაიმართა. — გადაჭრით ვიღაშქრებთ უმწეო მოსახლეობის ბარბაროსული დაბომბვის, ამერიკის მხედრიონის თარეშის წინააღმდეგ, ჩვენი სიმპათია მამაცი ვიეტნამელი ხალხის მხარეზეა, რომელიც გმირულად იცავს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, მტკიცედ იბრძვის სამართლიანი საქმისათვის.

— ამერიკელი იმპერიალისტები, რომლებიც ირღვევენ საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმას, — თქვა ისტორიის მასწავლებელმა ბ. ბარამიძემ, — ცდილობენ დაჩოქონ თავისუფლებისმოყვარე ვიეტნამი. ისინი ანგრევენ დასახლებულ პუნქტებს, სპობენ ათეულათასობით ადამიანს, ანადგურებენ სულიერ და მატერიალურ ფასეულობებს. მოვითხოვთ ოკეანესგაღმელი ომის გაჩაღებლებისაგან შეწყვიტონ სამარცხვინო ომი.

სიტყვას ამბობს სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ს. კაშია.

— ვგმობთ ამერიკელ იმპერიალისტთა სამარცხვინო მოქმედებას, რომლებიც ბარბაროსულ დანაშაულს სჩადიან ვიეტნამის მიწა-წყალზე. — ამბობს იგი. სულითა და გულით მხარს ვუჭერთ ვიეტნამელი ხალხის სამართლიან ბრძოლას. გვჯერა, რომ ვიეტნამელი ხალხი გაიმარჯვებს!.

ამბრძოლია. საყოველთაო აღშფოთებას და რისხვას იწვევს ამერიკელ აგრესორთა საზიზღარი მოქმედება ვიეტნამში. საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში ეწყობა ხალხმრავალი საპროტესტო მიტინგები. ამერიკელ აგრესორთა ომი ვიეტნამში შეიძლება მსოფლიო ხანძრად გადაიქცეს — თქვა კულაშის საქსოვი ფაბრიკის ოსტატმა ლ. ჯანელიძემ. — ჩვენ მტკიცე პროტესტს ვაცხადებთ ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ, გადაჭრით მოვითხოვთ შეწყდეს სომარი მოქმედება, ამერიკელებმა გაიყვანონ თავიანთი ჯარები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან.

სსკთ-ის ცხოვრებიდან

ვ. როშეს გამოსვლა

პარიზი, 15 დეკემბერი. (საკდესი). საფრანგეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ვ. როშემ „რადიო ლუქსემბურგით“ გამოსულაში პასუხი გასცა რადიომსმენელთა შეკითხვებზე **შეეხო რა,** პრეზიდენტის არჩევნების პირველ ტურის შედეგს, ვ. როშემ აღნიშნა, რომ „ამ შედეგმა გამოხატა მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ფენის დიდი უკმაყოფილება“ ახლანდელი რეჟიმის მიმართ. ეს შედეგი გვიჩვენებს, რომ შესაძლებელია დე გოლის რეჟიმის შეცვლა დემოკრატიული წყობილებით. ვ. როშემ აღნიშნა, რომ დე გოლის რეჟიმის პოლიტიკა შეესაბამება მსხვილ მონოპოლისტთა ინტერესებს. საფრანგეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა გააკრიტიკა **მთავ**რობის კურსი ეკონომიურ **და სო**ციალურ დარგებში.

გენერალურ ასამბლეაზე

ნიუ-იორკი, 14 დეკემბერი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის დელეგაცია გენერალურ ასამბლეაზე გადაჭრით გამოვიდა დღეს ყოველი ცდის წინააღმდეგ, რომ კვიპროსის საკითხი გადაჭრას კვიპროსელი ხალხის გვერდის ავლით, ნატოს ინტერესებისათვის, კვიპროსის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის საზიანოდ.

თავის სიტყვაში პირველ კომიტეტში, რომელიც განაგრძობს კვიპროსის საკითხის განხილვას, სსრ კავშირის წარმომადგენელმა ნ. ტ. ფედორენკომ განაცხადა, რომ კვიპროსის რესპუბლიკის გამოცხადება 1960 წლის აგვისტოში იყო შედეგი კვიპროსელი ხალხის ბრძოლისა იმპერესის კოლონიალიზმის წინააღმდეგ. მაგრამ კოლონიალიზმის ძალები ახლაც განაგრძობენ პოლიტიკას, რომ მოსპონ კვიპროსი როგორც სუვერენული სახელმწიფო, შეინარჩუნონ კუნძულზე ნატოს სამხედრო ბაზები.

საბჭოთა დელეგაციამ გამოთქვა რწმენა, რომ კვიპროსის ნამდვილი დამოუკიდებლობისა და მთლიანობის უზრუნველსაყოფად მის ტერიტორიიდან უნდა გაიყვანონ უცხოეთის მთელი ჯარები და მოსპონ უცხოეთის სამხედრო ბაზები.

საბჭოთა კავშირი, ხაზგასმით აღნიშნა ნ. ტ. ფედორენკომ, ფიქრობს, რომ კვიპროსის საკითხის გადაჭრას საფუძვლად უნდა დაედოს კვიპროსის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა, ორივე ეროვნული თემის — ბერძენთა და თურქთა თემების კანონიერ უფლებათა დაცვა.

კვიპროსის საკითხი შეიძლება გადაიჭრას და კიდევაც უნდა გადაიჭრას მხოლოდ მშვიდობიანი გზით კანონიერ უფლებათა და სამართლიანობის პრინციპთა გათვალისწინებით, თქვა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა.

სრულიად უდავოა, რომ კვიპროსის სახელმწიფოს შინაგანი წყობილების საკითხი თვით კვიპროსელთა საქმეა. საბჭოთა დელეგაციას საჭიროდ მიაჩნია მოუწოდოს ყველა დაინტერესებულ მხარეს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს დაიცვან უშშრობის საბჭოს რეზოლუციები, კერძოდ 1964 წლის 4 მარტისა და 1965 წლის 10 აგვისტოს რეზოლუციები, რომლებიც სხვა დიდმნიშვნელოვან დებულებებთან ერთად შეიცავენ რეკომენდაციას სახელმწიფოებისადმი თავი შეიკავონ ყოველი მოქმედებისაგან, რომელსაც შეუძლია გააძწვავოს ვითარება კვიპროსში.

ნიუ-იორკი, 15 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ გენერალურმა ასამბლეამ პლენარულ სხდომაზე ხახვრად ცარიელ დარბაზში დაიწყო განხილვა ეგრეთ წოდებული „ტბიბეტის საკითხისა“. ეს „საკითხი“ XX სესიას თავს მოახვიეს დასავლეთის სახელმწიფოებმა იმ მიზნით, რომ ასამბლეამ აღარ განიხილოს საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფის, კოლონიალიზმის საბოლოო ლიკვიდაციისა და იმ ქვეყნებისათვის დახმარების გაწევის პრობლემები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ამ ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას. ამ „საკითხის“ ირგვლივ ატეხილ ხმაურობაში ასამბლეა ეკამათებოდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გაწევიან ბრძოლას თავიანთი პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გაწევიფელი ნაწილის — ტიბეტის საკითხი ხელის წესრიგში შეტანა აოლევეა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, რადგან იგი სრულიადაც არ აძლევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უფლებას ჩაერიოს საქმეებში, რომლებიც არსებითად ამა თუ იმ სახელმწიფოს საშინაო კომპეტენციას შეადგენს. სსრ კავშირის



დელეგაციამ კატეგორიულად გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ ასამბლეას განეხილა ეს საკითხი, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საშინაო საქმეა.

ნ. ტ. ფედორენკოს პასუხი უ ტანს

ნიუ-იორკი, 15 დეკემბერი. (საკდესი). საბჭოთა კავშირი მხარს უჭერდა და უჭერს ადენისა და არაბეთის ნახევარკუნძულის მთელი სამხრეთის ხალხის სამართლიან მოთხოვნას, მის მისწრაფებას თავისი მიწა-წყლის ბატონ-პატრონი იყოს, თვითონ გადაწყვიტოს მომავალი სახელმწიფო წყობილების საკითხი, თვითგამორკვევისა და დამოუკიდებლობის უფლების საფუძველზე, ხაზი გაუსვა სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ნ. ტ. ფედორენკომ წერილში, რომელიც გუშინ გაუგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს უ. ტანს.

ნ. ტ. ფედორენკომ პასუხი გასცა უ ტანის ცირკულარულ წერილს, რომელშიც გენერალური მდივანი ყველა სახელმწიფოს ყურადღებას მიაპყრობდა გენერალური ასამბლეის XX სესიის 1965 წლის 5 ნოემბრის რეზოლუციის იმ პუნქტს, რომელიც მოუწოდებს ყველა ქვეყანას ყოველგვარი დახმარება გაუწიონ ადენელი ხალხის მეცადინეობას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოსაგებად.

ნ. ტ. ფედორენკოს წერილში ნათქვამია, რომ სსრ კავშირი ეთანხმება ამ რეზოლუციის ყველა დებულებას და მხარს დაუჭერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა ღონისძიებას, დაუყოვნებლივ და უთუოდ განხორციელდეს კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების დეკლარაციის დებულებანი ამ კოლონიური ტერიტორიის მიმართ.

ბრძოლები საიგონის გარეუბანში

ლონდონი, 15 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ღამით სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების არმიის მებრძოლებმა შეუტიეს პოლიციელთა ორ უბანს საიგონის მახლობლად. თავდასხმის შედეგად, როგორც რეიტერის სააგენტოს საიგონელი კორესპონდენტი იუწყება, დახოცილია 2 და დაჭრილია 7 პოლიციელი.

იყენებენ მომნავლელ ნივთიერებებს

პანოი, 15 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, 23 და 24 ნოემბერს ამერიკელმა აგრესორებმა და საიგონის მარიონეტულმა ჯარებმა სამხრეთ ვიეტნამის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ კუანგნგის პროვინციის მოდულის რაიონში გამოიყენეს მომწამვლელი ქიმიური ნივთიერებებით დატენილი ბომბები, ყუმბარები და გრანატები. ამით დაარღვიეს ჟენევის 1954 წლის შეთანხმებანი ვიეტნამის შესახებ, აგრეთვე 1922 და 1925 წლების საერთაშორისო კონვენცია, რომელიც კრძალავს ომწამვლელ ნივთიერებათა გამოყენებას ომის წარმოების მიზნით.

ნ. ტ. ფედორენკოს

ჯაკარტა, 14 დეკემბერი. (საკდესი). ინდონეზიის მთავრობამ გადაწყვიტა განახორციელოს ფინანსური რეფორმა იმ მიზნით, რომ გააუმჯობესოს ამ ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა.

პრეზიდენტმა სუკარნომ ხელი მოაწერა დეკრეტს, რომლის თანახმად მიმოქცევაში იქნება ახალი რუპია, რომელიც ძველი რუპიის ერთი მეათასედის ეკვივალენტურია. გათვალისწინებულია ძველი ბანკნოტები მიმოქცევიდან ამოიღონ ნახევარი წლის განმავლობაში.

ლონდონი, 14 დეკემბერი. (საკდესი). დღეს პრეზიდენტმა სუკარნომ გაათავისუფლა სუბანდრიო უძაღლესი ოპერატიული სარდლობის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან. ამას იტყობინება რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ჯაკარტიდან.

ინდონეზიის არმიის სარდალმა, გენერალ-მაიორმა სუხარტომ პრეზიდენტთან თათბირის შემდეგ განაცხადა, აღნიშნავს კორესპონდენტი, რომ პრეზიდენტმა სუკარნომ სუბანდრიოს ნაცვლად დანიშნა უმაღლესი ოპერატიული სარდლობის თავმჯდომარის სამი მოადგილე: გენერალი ნასუტიონი — თავმჯდომარის მოადგილედ სამხედრო საკითხებში, ფინანსური კონტროლის მინისტრი-თავმჯდომარე ხამეხგკუ ბუთეოო — თავმჯდომარის მოადგილედ ეკონომიურ საკითხებში და ხალხთან კავშირის მინისტრი რუსლან აბდულგანი — თავმჯდომარის მოადგილედ სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებში.

ბონის დოქტრინის მორიგი მარცხი

ბონი, 14 დეკემბერი. (საკდესი). კვლავ დამარცხდნენ ბონელი მქადაგებელნი „ჰალშტაინის დოქტრინისა“, რომლის თანახმად გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა „არ არსებობს“ როგორც სახელმწიფო. როგორც დპა-ს საინფორმაციო სააგენტო იუწყება, „საერთო ბაზრის“ (ევროპის ეკონომიური გაერთიანების) მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლებმა თითქმის ერთხმად (წინააღმდეგ ხმა მისცა მხოლოდ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენელმა) მიიღეს ბრიუსელში გადაწყვეტილება მიიჩნიონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა „მესამე სახელმწიფოდ“ (ესე იგი სახელმწიფოდ, რომელიც არ შედის ევროპის ეკონომიურ გაერთიანებაში) აქედან გამომდინარე ყველა ფინანსური და ეკონომიური შედეგის გათვალისწინებით. ამ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა ხანგრძლივი კამათი: ბონი მოუწოდებდა თავის პარტნიორებს — „საერთო ბაზრის“ წევრებს არ მოქცეულიყვნენ ასე. რადგან ეს, როგორც ბონში შიშობენ, ნიშნავს კიდევ ერთ წინგადადგმულ ნაბიჯს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობის გზაზე.

მაღლდება

ცხოვრების დონე

სოფია, აქ გამოქვეყნდა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ბულგარეთის მინისტრთა საბჭოსა და პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს დადგენილება მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლების შესახებ 1966-1967 წლებში.

მატერიალური წარმოების სფეროში დაბალქონილ მუშაკთა ხელფასი ეზრდებათ, რომელიც ერთია ასზეადოლარიანი სატარიფო განაკვეთების მიხედვით, მომავალ წელს გაიზრდება 8,2-14,7 პროცენტით. ინჟინერ-ტექნიკიერ მუშაკთა, ხელმძღვანელი კადრებისა და უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების ხელფასი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში გადიდდება საშუალოდ 20 პროცენტით, ხოლო საშუალო განათლების მქონე სპეციალისტებისა — საშუალოდ 15 პროცენტით. მშრომელთა მინიმალური ხელფასი გადიდდება 55 ლევამდე თვეში.

დადგენილება ითვალისწინებს ჯანმრთელობის დაცვის, განათლების მუშაკთა და არამატერიალური წარმოების სფეროს სხვა მუშაკთა ხელფასის არსებითად გადიდებას. გათვალისწინებულია აგრეთვე ეკონომიური ღონისძიებანი იმ მუშების წასახალისებლად, რომლებიც დიდხანს მუშაობენ ერთსა და იმავე საწარმოში. გარდა ამისა, უახლოესი ორი წლის განმავლობაში გადიდდება მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები.

საჩუქარი რუმინელ მეგობრებს

ბუქარესტი. საბჭოთა კავშირის ელჩი რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკაში ი. კ. ყეგალინი ეწვია რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ნ. ჩაუშესკუს და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის დავალებით საჩუქრად გადასცა ფერადი დოკუმენტური ფილმი „მეგობრობა, სოლიდარობა, ერთობა“. ფილმი ეძღვნება რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის სსრ კავშირში ყოფნას ნ. ჩაუშესკუს მეთაურობით. რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ალექსანდრ

მოლდოვა გამოთქვა საჩუქრისათვის.

კლენუმმა მოიწონა

პრაღა. ბრატისლავაში გაიმართა სლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა განიხილა და მოიწონა სლოვაკიის ეკონომიური განვითარების 1966 წლის გეგმის პროექტი. გარდა ამისა, პლენუმმა განიხილა და მოიწონა სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის პროექტი სლოვაკიის ეროვნული საბჭოს ორგანოებში ზოგიერთ ცვლილებათა შესახებ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნამემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით.

კორეელ მეგადურთა წარმატება

ფხენიანი. კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე წარმატებით მიმდინარეობს მინტაის ბერა. მიუხედავად **ამინდის მძიმე** პირობებისა, მეგადურები დღითა და ღამ ელიერებენ ბერის ტყემს.

თუ დეკემბრის დასაწყისში ყოველ დღე იჭერდნენ 7-8 ათას ტონას, ახლა 10.000 ტონაზე მეტს იჭერენ.

სოციალისტური ქვეყნებში

საფრანგეთი არჩევნების წინ

ლაპარაკობენ პრეზიდენტობის კანდიდატები

პარიზი, 14 დეკემბერი. (საკდესი). ევროპის გაერთიანების პრობლემები, „საერთო ბაზარი“, ნატო—ეს თემები იყო მთავარი პრეზიდენტობის კანდიდატის ფ. მიტერანის დღევანდელ გამოსვლაში. მიტერანმა სიტყვა წარმოთქვა **რადიოთი** და განაცხადა, რომ თუ აირჩიეს, დაუყოვნებლივ დაიწყებს მოლაპარაკებას სასოფლო-სამეურნეო „საერთო ბაზრის“ შექმნის მიზნით. „საერთო ბაზრის“ პრობლემა მან დაუკავშირა ევროპის პოლიტიკურ მშენებლობას. „საერთო ბაზარს“ რომ ემხრობი, განაცხადა მიტერანმა, ამით ხელს ვუწყობ პოლიტიკური ევროპის შექმნის პროგრესს.

მიტერანი შეეხო ნატოს პრობლემას და თქვა, რომ წინააღმდეგია შეიქმნას ატომური ძალები ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის ფარგლებში. მან კვლავ გაიღაშქრა საფრანგეთის ატომური დამკვრელი ძალის შექმნის წინააღმდეგ. საჭიროა, განაცხადა მან, აკიარჩიოთ ან საფრანგეთის ატომური გამალებული შეიარაღება ანდა საერთაშორისო სოლიდარობის სისტემის შექმნა, რომელიც ბოლოს, მოუღებდა ატომური ბომბის გამოყენებას საერთოდ.

მემარცხენე ძალების კანდიდატმა მსმენელებს მოაგონა, რომ თუ აირჩიეს პრეზიდენტის პოსტზე, მაშინვე დაითხოვს პარლამენტს და შექმნის დროებით მთავრობას, რომელიც აწარმოებს მიმდინარე საქმეებს ახალი პარლამენტის არჩევნებამდე და ახალი მთავრობის შედგენამდე.

მიტერანი შეეხო აგრეთვე სუსტადგანვითარებული ქვეყნებისადმი დახმარების გაწევის პრობლემას და აღნიშნა, ეს დახმარება უნდა გადიდდესო.

პარიზი, 15 დეკემბერი. (საკდესი). მემარცხენე ძალების კანდიდატმა პრეზიდენტის არჩევნებში ფ. მიტერანმა გუშინ ფრანგ ტელემაყურებლებს გააცნო თავისი ეკონომიური და სოციალური პროგრამა და გააკრიტიკა მთავრობის პოლიტიკა ამ დარგებში. მიტერანი, კერძოდ, შეეხო დე გოლის გამოსვლას და აღნიშნა, რომ მისი სიტყვები ფრანგთა ცხოვრების დონის განუწყვეტელი ზრდის შესახებ „სამწუხაროდ, არ არის სავსებით ზუსტი“. შემოსავალი ფრანგებს შორის, თქვა მან, მეტად უთანაბროდ არის განაწილებული.

მემარცხენე ძალების კანდიდატი დაუჭირეს შეეხო მთავრობის სტაბილიზაციის გეგმას, რომელიც, მისი სიტყვით, „იწვევს ეკონომიურ დაქვეითებას და სოციალურ მოდუნებას“.

ფ. მიტერანის მხარდასაჭერად

პარიზი, 15 დეკემბერი. (საკდესი). 250-ზე მეტმა ფრანგმა მწერალმა, ჟურნალისტმა, მეცნიერმა, მსახიობმა გამოაქვეყნა მოწოდება, რომ 19 დეკემბერს ხმა მისცენ ყველა რესპუბლიკელის კანდიდატს პრეზიდენტის პოსტზე ფ. მიტერანს, მოწოდებას ხელი მოაწერეს მწერლებმა ლ. არაგონმა, ე. ბაზენმა, ჟ.-პ. შბროლმა, კინორეჟისორებმა ჟ. ოტან-ლარამ, ლ. დაკენმა, ბიოლოგმა ჟ. როსტანმა და სხვებმა.

მიტერანს მხარი დაუჭირა გუშინ თავის გამოსვლაში საფრანგეთის სენატის თავმჯდომარემ გასტონ მონერვილმა. ხმას ვაძლევ რა მიტერანს, თქვა მან, მე ხელს ვუწყობ რესპუბლიკის აღორძინების პროგრესის, სამართლიანობის, თავისუფლების გზით.

სახალხო რესპუბლიკური მძრაობის პარტიის ახალგაზრდათა ორგანიზაციამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც მოუწოდა თავის მომხრეებს 19 დეკემბერს ხმა მისცენ ფ. მიტერანს.

გვინეამ გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა ინგლისთან

ლონდონი, 15 დეკემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, გვინეის პრეზიდენტმა სეკუ ტურემ გამოაცხადა, რომ დღეიდან წყვეტს დიპლომატიურ ურთიერთობას ინგლისთან და ხურავს ინგლისის საელჩოს კონაკრიში. სეკუ ტურემ ეს განცხადება გაკეთა სრულიად გვინეის რადიოთი ნაშუალამევს. რადიოს გადაცემა მოისმინეს ლონდონში.

დეკემბრის დამდეგს აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის მინისტრების საბჭომ ადის-აბების საგანგებო სესიაზე მიიღო გადაწყვეტილება, რომ აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის წევრმა ქვეყნებმა გაწყვიტონ დიპლომატიური ურთიერთობა ინგლისთან, თუ ბოლო არ მოუღო სამხრეთ როდეზიის რასისტულ რეჟიმს ამა წლის 15 დეკემბრამდე.

„ატლანტიკური“ შეხვედრები

პარიზი, 14 დეკემბერი. საკდესის კორესპონდენტი ი. ლოპატინი იტყობინება:

გუშინ პარიზში დაიწყო „დიდი ატლანტიკური კვირეული“, როგორც მაღალფარდოვნად წერს ერთი ადგილობრივი გაზეთი. აქ რამდენიმე დღით შეიკრიბნენ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის წევრი 15 ქვეყნის საგარეო საქმეთა, თავდაცვისა და ფინანსთა მინისტრები. ისინი მონაწილეობას მიიღებენ ნატოს საბჭოს მორიგ სესიაში, რომელიც დღეს იხსნება.

როგორც ყოველთვის, ნატოს მთავარი ბინის დახურული დარბაზების ოფიციალური სხდომების პარალელურად პარიზში მიმდინარეობს „ატლანტიკის“ მინისტრების **ინტენ**სიური ფარული მოლაპარაკებანი, შეხვედრები და კონსულტაციები.

გუშინ საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა პომპიდუმ მიიღო, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი დინ რასკი, შემდეგ კი რასკი შეხვდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს კუე დე მიურვილს, კერძო **დე** მიურვილმა კი საუზმე გამართა თავ**ისი** კანადელი კოლეგის მარტინის პატივისცემად. გუშინ საღამოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პარიზის საელჩოში დიპლომატიურ გახშამზე იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, ინგლისისა და დასავლეთ გერმანიის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელები.

როგორც აღვნიშნეთ, ნატოს მთავარი ბინის ფიქრობენ. გუშინდელ შეხვედრებზე ძირითადად, შეეხნენ ნატოს ატომური შეიარაღების პრობლემებს, ევროპაში მდგომარეობას, რომელიც სულ უფრო მეტ შეშფოთებას იწვევს, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობას. გამორიცხული არ არის, რომ რადგან ახლა ნატოელ პარტნიორებს შორის უთანხმოებანია მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან საკითხებზე, ნატოს სესიის მუშაობის საგანი უმთავრესად იქნება „ატლანტიკის“ მინისტრების სწორედ ამ გვარი ვიწრო შეხვედრები, რომლებიც ფართოდ არ უნდა გახმიანდეს.

„ნატოს მინისტრთა დონის ახლანდელ სესიაზე, — ხაზს უსვამს საღამოს გაზეთი „კრუა“, — ყველაზე მთავარი იქნება თანამგზავრი შეხვედრები“.

როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე ატლანტიკური ფორუმების წინ, ნატოს გენერალურმა მდივანმა მანლიო ბროსიომ გუშინ საღამოს მოაწყო ტრადიციული პრეს-კონფერენცია, რომელზეც ჟურნალისტებს გააცნო სესიის სავარაუდო დღის წესრიგი.

როგორც გამოცდილ დიპლომატს შეშვენის, ბროსიომ ოსტატურად აუარა გვერდი პრესის წარმომადგენელთა მეტისმეტად პირდაპირ და დაჟინებულ შეკითხვებს და განაცხადა, რომ ნატოს სესიამ უნდა განიხილოს მთელი რიგი სამხედრო და საგარეოპოლიტიკური პრობლემები. მისი აზრით, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობა ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილს დაიკავებს ნატოელ მინისტრთა დისკუსიებში. გარდა ამისა, განაცხადა ბროსიომ, შეიძლება ვიეტნამის მდგომარეობაც განიხილონ.

ნატოს გენერალურმა მდივანმა აღიარა, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში არის სხვადასხვა ტენდენცია და მისი სტრუქტურისა და საქმიანობის გარდაქმნის რამდენიმე პროექტი, და ამავე დროს უარყო, რომ ნატოს რეფორმის პრობლემა მწვავედ დაისმება ახლანდელ სესიაზე. მან ეს, კერძოდ, იმით დასაბუთა, რომ საფრანგეთის პრეზიდენტის არჩევნები ჯერ არ დამთავრებულა. ეს კი ქმნის გაურკვეველ ვითარებას, რადგან სწორედ საფრანგეთია ნატოს რეფორმის ყველაზე აქტიური ინიციატორი. ბროსიომ თქვა აგრეთვე, რომ სესიას წარედგინება ეგრეთ წოდებული „სამეშო ჯგუფების“ მოხსენება.

ი. ლოპატინი

ბერლინი

ინდონეზიის ამბები

ჯაკარტა, 14 დეკემბერი. (საკდესი). ინდონეზიის მთავრობამ გადაწყვიტა განახორციელოს ფინანსური რეფორმა იმ მიზნით, რომ გააუმჯობესოს ამ ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა.

ლონდონი, 14 დეკემბერი. (საკდესი). დღეს პრეზიდენტმა სუკარნომ გაათავისუფლა სუბანდრიო უძაღლესი ოპერატიული სარდლობის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან. ამას იტყობინება რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ჯაკარტიდან.

ინდონეზიის არმიის სარდალმა, გენერალ-მაიორმა სუხარტომ პრეზიდენტთან თათბირის შემდეგ განაცხადა, აღნიშნავს კორესპონდენტი, რომ პრეზიდენტმა სუკარნომ სუბანდრიოს ნაცვლად დანიშნა უმაღლესი ოპერატიული სარდლობის თავმჯდომარის სამი მოადგილე: გენერალი ნასუტიონი — თავმჯდომარის მოადგილედ სამხედრო საკითხებში, ფინანსური კონტროლის მინისტრი-თავმჯდომარე ხამეხგკუ ბუთეოო — თავმჯდომარის მოადგილედ ეკონომიურ საკითხებში და ხალხთან კავშირის მინისტრი რუსლან აბდულგანი — თავმჯდომარის მოადგილედ სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებში.

აი'უბ ხანი ვაშინგტონში

ვაშინგტონი, 15 დეკემბერი (საკდესი). გუშინ ვაშინგტონში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა პაკისტანის პრეზიდენტი აიუბ ხანი ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელ პირებთან. სიტყვები წარმოთქვეს. ჩვენს ქვეყნებს შორის, განაცხადა ჯონსონმა, იყო ახლოა სხვადასხვაობა“. მაგრამ „ის, რაც ჩვენ გვაკავშირებს, ბევრად ძლიერია დროებითს უთანხმოებებზეო“.

მინი ხელისუფლების სათავეში დარჩა

სან-ფრანცისკო, 14 დეკემბერი. (საკდესი). აქ მუშაობა დაამთავრა ამერიკის შრომის ფედერაციამ-საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის ყრილობამ. ამ პროფკავშირული გაერთიანების თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს ჯორჯ მეინი. ეს პოსტი მას 1955 წლის დეკემბრიდან უკავია.

„ჯემინაი-6“

ნიუ-იორკი, 15 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში განხორციელდა კოსმოსური ხომალდის „ჯემინაი-6“-ის გაშვება. ხომალდში არიან ხომალდის მეთაური სამხედრო-საზღვაო ფლოტის კომან

ᲙᲐᲠᲒᲘ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐ

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲦᲔ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲨᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲪᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲦᲔ დამთავრდა. და აი შემოქმედებითი შრომის შემდეგ სალექციო დარბაზებისაკენ იწევენ ყველას — მეტალურგებს, ქიმიკოსებს, მშენებლებს, საზოგადოებრივი კვების, ვაჭრობისა და ფინანსების მუშაკებს, საწარმო-დაწესებულებათა კოლექტივებს, ქალაქის აქტივს.

შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატმა, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა. ამ ღონისძიებისათვის, რომელსაც ეწოდება „ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲦᲔ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲨᲘ“, ჩამოვიდა 50-მდე პროფესორ-მასწავლებელი.

რეგლამენტი ასეთია: საღამოს ოთხიდან ექვს საათამდე საამქროებში, ქარხნებში და საწარმო-დაწესებულებებში ლექციების წაკითხვა, მერე უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების შეხვედრა რუსთავის მშრომელებთან, შემდეგ კი — კონცერტი უნივერსიტეტის თვითშემოქმედებითი კოლექტივის ძალებით მეტალურგთა კულტურის სასახლეში.

ლექციების მოწყობამდე პროფესორ-მასწავლებლები ადგილებზე გაეცნენ საწარმოებს, მათ მიერ წარმოებულ პროდუქციას, ადამიანებს. შემდეგ კი დაიწყო ლექციები, რომლებიც გამომდინარეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან.

ცხოველი ინტერესი გამოიწვია მეტალურგიული ქარხნის მილსაგალინავ საამქროში პროფესორ Ი. მიქელაძის ლექციამ თემაზე: „წარმოების სპეციალიზაცია და დარგობრივი პრინციპით მრეწველობის მართვის ორგანიზაციის აუცილებლობა“. საინტერესო იყო საგალინავ საამქროში პროფესორ Თ. ᲑᲐᲮᲢᲐᲫᲘᲡ ლექციაც, რომელიც შეეხებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადწყვეტილებებს როგორც ახალ ნაბიჯს სახალხო მეურნეობის ლენინური პრინციპების განვითარებაში.

მშრომელთა კოლექტივებს ამჯერად აინტერესებს საკითხი შრომის ნაყოფიერების გადიდების გზებისა სამრეწველო საწარმოში. ამიტომ იყო, რომ ამ თემაზე პროფესორ კ. ᲑᲐᲑᲣᲜᲘᲡ ლექციას ბრძმედის საამქროში დიდძალი ხალხი დაესწრო.

მემარტენეებმა ამ დღეს მოისმინეს დოცენტ მ. ᲚᲔᲥᲘᲜᲘᲫᲘᲡ შინაარსიანი ლექცია კაპიტალდაბანდებათა ეფექტიანობის გადიდების გზების შესახებ, ხოლო ცემენტის ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა — დოცენტ ნ. ᲓᲔᲓᲔᲖᲣᲫᲘᲡ ლექცია — „სამრეწველო საწარმოს საქმიანობის ეკონომიური ანალიზის ამოცანები თანამედროვე ეტაპზე“. აზოტოვანი სასუქებისა და ხელოვნური ბოჭკოს ქარხნებში დოცენტმა ნ. ᲨᲘᲠᲪᲣᲚᲐᲫᲔᲛ და პროფესორმა Ი. ᲒᲕᲘᲠᲓᲬᲘᲗᲔᲚᲐᲫᲔᲛ წაიკითხეს ლექციები: „აზოტოვანი სასუქების წარმოების განვითარების პერსპექტივები საქართველოში“ და „ქიმიური მრეწველობის განვითარების ამოცანები საქართველოში“.

ლექციების ციკლი ისე იყო შედგენილი, რომ სპეციფიკურ საკითხებს გარდა მასში გათვალისწინებულია სხვა საინტერესო თემატიკაც. მაგალითად, პროფესორმა მ. ᲙᲕᲔᲚᲐᲫᲔᲛ ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲐᲛ ქარხანაში წაიკითხა ლექცია: „ნუ დავივიწყებთ ისტორიის გაკვეთილებს“. მისი ლექცია იმიტომაც იყო საინტერესო, რომ იგი თვით არის ნიურნბერგის პროცესის მონაწილე. ანდა ავიღოთ პროფესორ დ. ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲘᲡᲐ და პროფესორ Ბ. ᲑᲐᲜᲓᲔᲚᲐᲫᲘᲡ ლექციები. პირველმა ისაუბრა სკოლისა და მისი ამოცანების შესახებ, ხოლო მეორემ — ოჯახის შესახებ საბჭოთა საზოგადოებაში.

რუსთაველი მშრომელებისათვის წაკითხულ იქნა აგრეთვე ლექციები: „სოციალიზმის ეკონომიური კანონების გამოყენება კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკაში“, „სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ამოცანები თანამედროვე ეტაპზე“, „ბუხმალტრული აღრიცხვის სრულყოფის ამოცანები“, „საწარმოთა სამეურნეო დამოუკიდებლობის გაფართოება და ეკონომიური შედეგებისათვის მათი პასუხისმგებლობის გაძლიერება“ და სხვ.

ლექციები წაიკითხეს დოცენტებმა დ. ᲙᲘᲠᲘᲫᲘᲗ, თ. ᲗᲘᲐᲑᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲗᲐ, ლ. ᲗᲐᲛᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲗᲐ, ბ. ᲛᲨᲕᲘᲠᲓᲐᲫᲔ, შ. ᲩᲘᲮᲝᲐᲕᲐᲫᲔᲛ, Ბ. ᲑᲐᲚᲘᲡᲚᲐᲜᲘᲗᲐ, დ. ᲫᲔᲓᲚᲐᲫᲔᲛ, Ლ. ᲡᲘᲚᲘᲚᲘᲗᲐ, Თ. ᲐᲓᲔᲕᲐᲫᲔᲛ, Ვ. ᲒᲝᲠᲒᲘᲚᲐᲫᲔᲛ, Კ. ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔᲛ, Პ. ᲙᲝᲠᲜᲘᲗᲐ, Ბ. ᲙᲘᲠᲙᲕᲔᲚᲘᲗᲐ, Ა. ᲔᲑᲠᲐᲚᲘᲫᲔᲛ, Ვ. ᲚᲔᲑᲐᲜᲘᲫᲔᲛ, შ. ᲥᲘᲡᲢᲐᲣᲠᲛᲐ, პროფესორმა Ბ. ᲨᲣᲠᲪᲮᲕᲐᲜᲘᲫᲔᲛ და სხვებმა.

არანაკლებ საინტერესო იყო უნივერსიტეტის მეორე და მესამე განყოფილება, პროფესორ შ. ᲛᲔᲡᲮᲘᲐᲡ ლექცია „ისტორიული რუსთავი“, რომელიც მეტალურგთა კულტურის სასახლეში ჩატარდა ქალაქის საზოგადოებრიობისათვის. პროფესორმა აღნიშნა, მაგალითად, რომ, ძველი ქალაქი რუსთავი მაშინ გაჩნდა, როცა ქალაქები მცხეთა, ურბნისი, დმანისი და სხვები. ლექტორმა ქალაქის კვდომის მიზეზად ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით მონღოლთა შემოსევა გამოაცხადა.

დასასრულ რუსთავის მშრომელთათვის უნივერსიტეტის თვითმოქმედმა კოლექტივმა დიდი კონცერტი გამართა.

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲛᲐ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲒᲣᲚᲗᲑᲘᲚᲘ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲣᲮᲐᲓᲔᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲗᲐ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲝᲛᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲡᲐᲛᲔᲠᲝ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ.

ᲓᲘᲓᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ

ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲢᲝᲛᲘᲐᲜᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲔᲜᲪᲘᲙᲚᲝ�პᲔᲓᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲛᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲛ ᲐᲛᲐ ᲬᲚᲘᲡ 24 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ ᲔᲠᲗᲝᲗᲚᲝᲒᲘᲕᲘ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲢᲝᲛᲘᲐᲜᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲔᲜᲪᲘᲙᲚᲝ�პᲔᲓᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲔᲜᲪᲘᲙᲚᲝ�პᲔᲓᲘᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲔᲛᲔᲑᲐ 1967-1972 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ.

ᲔᲜᲪᲘᲙᲚᲝ�პᲔᲓᲘᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲪᲔᲛᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲗᲐᲗ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ, ᲓᲐᲛᲤᲘᲥᲘᲪᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ. ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔ�გᲘᲐ. ᲔᲜᲪᲘᲙᲚᲝᲪᲔᲓᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲣᲠ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲒᲑᲐᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ.

ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔ�გᲘᲐᲨᲘ ᲨᲔᲓᲘᲐᲜ: Ი. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ (ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ), Ლ. ᲐᲑᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ, Შ. ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ე. ᲐᲜᲓᲠᲝᲜᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ვ. ᲐᲚᲐᲗᲘᲐᲜᲘ, Ბ. ᲐᲮᲚᲝᲛᲔᲓᲘᲐᲜᲘ, Ბ. ᲑᲐᲫᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Კ. ᲑᲐᲫᲐᲠᲐᲫᲔ, Ი. ᲑᲔᲠᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ნ. ᲑᲐᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Კ. ᲑᲐᲛᲚᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐ, პ. ᲒᲣᲒᲣᲨᲕᲘᲚᲘ, Ვ. ᲒᲣᲚᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ლ. ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ, თ. ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲘᲐ, რ. ᲓᲫᲐᲚᲘ, Ი. ᲓᲝᲚᲘᲫᲔ, Ხ. ᲓᲣᲠᲛᲘᲨᲘᲫᲔ, Ი. ᲕᲔᲫᲐᲣᲐ, Ფ. ᲗᲐᲗᲐᲫᲔ, Ო. ᲗᲐᲫᲗᲐᲫᲘᲨᲕᲘᲚᲘ, პ. ᲘᲜᲒᲝᲠᲝᲥᲕᲐ, ნ. ᲙᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘ, Ვ. ᲙᲣᲠᲐᲫᲔ (ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ), Გ. ᲚᲔᲛᲜᲘᲫᲔ, Დ. ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ, Ვ. ᲛᲐᲮᲐᲚᲓᲘᲐᲜᲘ, Ბ. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ, Ვ. ᲛᲔᲠᲙᲕᲘᲚᲐᲫᲔ, Გ. ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲔ, Ი. ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲔ, Ნ. ᲛᲣᲨᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ, რ. ᲜᲐᲗᲐᲫᲔ, Თ. ᲜᲣᲗᲣᲨᲕᲘᲚᲘ, Ო. ᲝᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Გ. ᲝᲠᲩᲝᲠᲘᲐᲜᲘ (ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲒᲘᲕᲐᲜᲘ), Მ. ᲡᲐᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Დ. ᲡᲑᲣᲠᲣᲐ, Ი. ᲑᲐᲫᲘᲨᲕᲘᲚᲘ, Ლ. ᲧᲐᲣᲮᲩᲘᲨᲕᲘᲚᲘ, Ა. ᲨᲐᲜᲘᲫᲔ, Ა. ᲩᲘᲯᲝᲯᲐᲕᲐ, Გ. ᲩᲘᲗᲐᲘᲐ, Გ. ᲩᲣᲒᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Გ. ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲐᲠ. ᲫᲘᲫᲘᲒᲣᲠᲘ. Გ. ᲥᲝᲩᲝᲜᲘᲫᲔ, Გ. ᲭᲠᲔᲗᲝᲜᲔᲚᲘ (ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ), Ს. ᲭᲘᲠᲩᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ა. ᲯᲐᲒᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ, Ა. ᲯᲐᲒᲔᲚᲘᲫᲔ, Გ. ᲯᲘᲒᲚᲐᲫᲔ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲝᲑᲐ, ᲛᲗᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲔᲠᲗᲮᲔᲚᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲛᲝᲬᲛᲔ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲝᲑᲐ ᲐᲠᲐᲡᲐᲭᲝᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲐᲛᲐᲕᲔ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲝᲛᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲡᲐᲛᲔᲠᲝ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ.

ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲢᲝᲛᲘᲐᲜᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲔᲜᲪᲘᲙᲚᲝᲪᲔᲓᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲝᲑᲐ, ᲛᲗᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲚᲔᲥᲪᲘᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ. ᲓᲐ ᲐᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲙᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲚᲔᲥᲪᲘᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ



ჩვენი კონსულტაციები •

კოლმეურნეთა პენსიები

რედაქციაში შემოსული ბევრი წერილის ავტორები გვთხოვენ განვუმარტოთ კოლმეურნეთა პენსიებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი. ამ წერილებზე პასუხს იძლევა ა. ბ. სოლოვიოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის საპენსიო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის მოადგილე.

ჩაეთვლებათ თუ არა მუშაობა და მოსამსახურეების შრომითის სტაჟში სახელმწიფო პენსიების კანონის მიხედვით პენსიის დანიშვნისათვის კოლმეურნეობის წევრად მუშაობა? — **გვეკითხებიან ამხ. ჩულაევი ჩელიაბინსკიდან, კუსა ქ. ირპენიდან, სიჩევა კიევიდან, ტოკმენინი ქ. ბალხაშიდან.**

— კანონის შესაბამისად სტაჟში ჩაითვლება ყოველი მუშაობა, თუ მისი შესრულებისას კაცს სახელმწიფო სოციალური დაზღვევა ეკუთვნოდა. კოლმეურნეობათა წევრებზე სახელმწიფო სოციალური დაზღვევა არ ვრცელდება. ამიტომ კოლმეურნეობაში მუშაობა, როგორც წესი, სახელმწიფო პენსიის დანიშვნისას სტაჟში არ ჩაითვლება.

როგორ მოვიქცეთ, თუ არ არის სახელმწიფო პენსიის დანიშვნისათვის საჭირო სრული სტაჟი? ამ შემთხვევაში შეიძლება დაინიშნოს არასრული პენსია, მისი ოდენობა განისაზღვრება სტაჟის პროპორციულად. რაც შეეხება კოლმეურნეობათა წევრების პენსიებს, მუშაობის სტაჟში ჩაითვლება როგორც არტელში, ისე სახელმწიფო საწარმოებში მუშაობა.

რა პირობებში ენიშნებათ პენსიები კოლმეურნეობიდან ფაქტიურად გასულ კოლმეურნეებს? — **გვეკითხებიან ამხ. ბრუსლავსკი კროპოტკინიდან, დეგტიარევა პერვოურალსკიდან და სხვები.**

— მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი კოლმეურნეობებში შევიდნენ კოლექტივიზაციის პირველ წლებში და მუშაობა შეწყვიტეს მოხუცებულობის ან ინვალიდობის გამო. შრომისუნარიან კოლმეურნეებს, რომლებიც ფაქტიურად გავიდნენ არტელიდან, პენსიის მიღების უფლება არა აქვთ.

ენიშნებათ თუ არა კოლმეურნეობების ყველაზე კვალიფიციური მუშაკებს პენსია გადიდებული ოდენობით? — **გვეკითხება ამხ. კერცევი ტამბოვის ოლქის მიჩურინსკის რაიონიდან.**

— კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს, უნაღლესი ან საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტებს, მთავარ (უფროს) ბუხგალტერებსა და მექანიზატორებს ენიშნებათ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის დაწესებული სახელმწიფო პენსიები. მექანიზატორთა რიცხვს ეკუთვნიან კოლმეურნეობათა ტრაქტორისტ-მემანქანეები, კომბაინერები, შოფრები, ზეინკლები, ხარატები და სხვა პირები, რომლებსაც საწარმოო კვალიფიკაცია აქვთ და დასაქმებული არიან ტექნიკის რემონტსა და მომსახურებაზე.

როგორ ენიშნებათ მოხუცებულობისა და ინვალიდობის პენსიები კოლმეურნეობათა მეპეტლებს? — **გვეკითხებიან ამხ. პეტრუხინი იაროსლავლის ოლქიდან, გერინი ტამბოვიდან და სხვები.**

— კოლმეურნეობის მჭედლები მიკუთვნებული არიან მექანიზატორთა რიცხვს, და, მაშასადამე, მაუწყო ვრცელდება სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფა, რაც დაწესებულია მუშებისა და მოსამსახურეებისათვის. ამასთან მათ შეღავათები აქვთ. კოლმეურნეს, რომელიც მჭედლად მუშაობდა, მოხუცებულობის პენსია შეიძლება დაენიშნოს, თუ მან ამ თანამდებობაზე იმუშავა თორმეტნახევარ წელიწადს (აუცილებელი სტაჟის ნახევარი), დანარჩენ დროს კი სხვა სამუშაოებზე იყო დასაქმებული. თუ ასეთი სტაჟი არა აქვთ, მჭედლებს პენსიები ენიშნებათ როგორც სხვა კოლმეურნეებს.

როგორ ენიშნებათ პენსიები იმ კოლმეურნეობებში მომუშავე პირებს, რომელთა მიწებიც შემდეგში საბჭოთა მეურნეობებს გადაეცა, თუ ეს პირები სამუშაოდ არ გადასულან საბჭოთა მეურნეობებში? — **გვეკითხებიან ამხ. ფროლოვა მოსკოვიდან, პლოტნიკოვა კემეროვოს ოლქიდან და სხვები.**

— იმავე წესებით, როგორც კოლმეურნეობათა წევრებს. მამაკაცებს 65 წლის და ქალებს 60 წლის მიღწევის შემდეგ. ამასთან მამაკაცებს უნდა ჰქონდეთ სულ მცირე 25 წელს, ხოლო ქალებს — 20 წლის შრომითი სტაჟი. თუ მიწის გადაცემის მომენტში ესა თუ ის პირი ფაქტიურად გავიდა კოლმეურნეობიდან, მას პენსია ენიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი კოლმეურნეობაში შევიდა კოლექტივიზაციის პირველ წლებში, ხოლო მუშაობა შეწყვიტა მოხუცებულობის ან ინვალიდობის გამო. თუ კოლმეურნეობის ყოფილ წევრს საჭირო დოკუმენტები არა აქვს, და ისინი არქივებში არ არის, სტაჟი შეიძლება დადგენილ იქნას მოწმეთა ჩვენებით.

სწორად უწყვეტენ თუ არა კოლმეურნეობები პენსიების მიცემას იმათ, ვისაც კანონის მიხედვით არ მიუღწევია საჭირო ასაკისათვის, მაგრამ პენსიას უკვე იღებდა? — **გვეკითხება ამხ. მალიკოვი.**

— ამ საკითხს კოლმეურნეობის გამგეობა წყვეტს, ვინაიდან ამ შემთხვევაში პენსია გაიცემა კოლმეურნეობის სახსრების ხარჯზე სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ ფონდში ანარიცხების ზევით.

ჩაითვლება თუ არა იმ კოლმეურნეობებში მუშაობა, რომელთა მიწებზეც შექმნილია საბჭოთა მეურნეობები, მუშაობის სტაჟში, რომელიც სახელმწიფო პენსიის მიღების უფლებას იძლევა? — **გვეკითხებიან ამხ. კლენინი კალინინგრადიდან და სხვები.**

— ჩაითვლება, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კოლმეურნე საბჭოთა მეურნეობისათვის მიწების გადაცემისას მუდმივ სამუშაოზე გადავიდა საბჭოთა მეურნეობაში. მაშინ შრომითის სტაჟში ჩაითვლება კოლმეურნეობაში განუწყვეტელი მუშაობის მთელი დრო, მაგრამ არაუადრეს 1939 წლისა, იმ წლების გამოკლებით, როცა კოლმეურნეს შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი არ გამოუმუშავებია საპატიო მიზეზების უქონლად. ამასთან მინიმუმის შეურულებლობა უნდა დასტურდებოდეს კოლმეურნეობაში არსებული დოკუმენტებით. თუ კოლმეურნეობის მიწები სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს გადაეცა და კოლმეურნე იქ გადავიდა მუდმივ სამუშაოზე, რჩება იგივე წესი.

თუ კოლმეურნე საბჭოთა მეურნეობაში ან სხვა ორგანიზაციაში გადავიდა მათთვის მიწის გადაცემამდე, კოლმეურნეობაში მუშაობა არ ჩაითვლება სტაჟში, რომელიც სახელმწიფო პენსიის მიღების უფლებას იძლევა. კოლმეურნეობაში მუშაობის დრო არ ჩაეთვლებათ აგრეთვე იმათ, ვინც მიწების გადაცემისას არ ჩარიცხულა მუდმივ სამუშაოზე საბჭოთა მეურნეობაში, შემდეგში კიდევაც რომ ემუშავნა საბჭოთა მეურნეობაში.

„იზვესტია“, 15 დეკემბერი.

მოსკოვი. ამ დღეებში მოდელების სრულიად საკავშირო სახლში მუშაობა დაიწყო საკავშირო ესთეტიკურმა კომისიამ, რომელიც სწავლობს ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და საგალანტერიო ნაწარმის მოდებს 1967 წლისათვის. ამ სურათებზე თქვენ ხედავთ მოდურ გამოსახულებას (ზემოთ) და სპორტულ კოსტიუმებს, რომლებიც ტაშკენტის მოდების სახლმა წარმოადგინა.

მეტალურგი ახალმოსახლეები

ზესტაფონი. (საკ. კორ.). აქ ბევრი რამ შენდება მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის. მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები აშენდა მარქსის, დადიანის, ბიბილაშვილის ქუჩებზე.

ლენინის ქუჩაზე 48-ბინიან სახლში ახალმოსახლეობა იზეიმეს ზესტაფონელმა მეტალურგებმა. აქ შესახლდნენ სახელმოხვეჭილი მდნობელი ვ. ყანჩაველი, ელექტროამწის მემანქანე ა. კოპაძე, ოსტატი ვ. ნებიერიძე, მესამე საამქროს მუშა ა. მდივანი და სხვ.

ამავე ქუჩაზე დამთავრდა 24-ბინიანი სახლი, სადაც ზესტაფონელი მეკაბელეები იცხოვრებენ.

ამ დღეებში გაიხსნება სამსართულიანი ახალი უნივერმაღი. ქალაქში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ახალი სამასადგილიანი საავადმყოფოს მშენებლობა.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ • ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ • ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ • ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

მოკლედ

● **ცხაკაიაში** გაიმართა თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივების რაიონული დათვალიერება, რომელმაც ბევრი ხალხური შემსრულებელი გამოავლინა.

დათვალიერებაზე საუკეთესო შესრულებით გამოირჩეოდა ხაოიანი ქსოვილების ფაბრიკის და ცხაკაიას ჩაის ფაბრიკის მომღერალთა გუნდები, რომელთაც ქიურიმ პირველი ხარისხის დიპლომები მიაკუთვნა. პირველი ხარისხის დიპლომებით დაჯილდოვდნენ აგრეთვე ხაოიანი ქსოვილებისა და ხალიჩების ფაბრიკების ქორეოგრაფიული კოლექტივები.

ს. კუჭავა.

● **ზრომა** დაუფასდათ წელს გზათა სამმართველოს ამბოლაურის მეშვიდე საუბნო განყოფილების მუშაკებს. მათ სარემონტო სამუშაოები ვადაზე ადრე 192,5 პროცენტით შეასრულეს, რის შედეგადაც საგზაო განყოფილებათა შორის გაშლილ რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავეს.

ა. კერესელიძე.

● **ფოთის** ნავსადგურში საწარმოო-საექსპლოატაციო გამოცდა გაიარა პორტალური ამწის ახალმა ნიმუშმა „განცმა“, რომელიც აგებულია უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში.

გამგზავრების წინ უნგრელმა სპეციალისტებმა გულითადი მადლობა გადაუხადეს ნავსადგურელებს ტექნიკური დახმარებისა და მეგობრული ზრუნვისათვის.

კ. კოპახიძე.

ᲖᲦᲕᲘᲡᲞᲘᲠᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲔᲝᲑᲘᲗᲘ

სოხუმის ბოტანიკური ბაღი 125 წლისა — [illegible]

სოხუმი. (საკ. კორ.). საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სოხუმის ბოტანიკურ ბაღს 125 წელი შეუსრულდა. ამ თარიღის აღსანიშნავად სოხუმში გაიმართა სოხუმის ბოტანიკური ბაღის საიუბილეო სამეცნიერო სესია. დღესასწაულზე მოვიდნენ საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, აგრეთვე მრავალი სტუმარი.

ბოტანიკური ბაღის 125 წლისთავის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ბაღის დირექტორი გ. აიბა. მან ილაპარაკა ბოტანიკური ბაღის მიერ განვლილ სახელოვან გზაზე, მისი კოლექტივის მიერ კავკასიის ფლორის შესწავლის საქმეში გაწეულ დიდ მუშაობაზე, მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოტანილი მცენარეების აკლიმატიზაციის მიმდინარეობაზე. დიდი მუშაობა გასწია სოხუმის ბოტანიკური ბაღის კოლექტივმა ძვირფასი მცენარეების სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასანერგავად.

სესიაზე წაკითხულ იქნა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აგრეთვე სსრ კავშირის ბოტანიკური ბაღების საბჭოს და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკური ბაღის მასალებიანი მისამართით მოვიდა მრავალი დემეშა უკრაინიდან, სომხეთიდან და სხვა მოძმე რესპუბლიკებიდან.

სესიაზე მოსმენილ იქნა სამეცნიერო მოხსენებები, მათ შორის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ა. კოლაკოვსკის, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ა. ვასილიევის, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ვ. კოლაკოვსკაიას, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ვ. ვაშაძის და სხვ.

ქალაქ ფოთის ცენტრში გაიხსნა ახალი უნივერსალური მაღაზია. მის პირველ-ორ სართულზე განლაგებულია ფეხსაცმელების, საგალანტერეო, კულტსაქონლის, ქსოვილების, მზა ტანსაცმლისა და სხვა სავაჭრო სექციები.



სურათზე: ფოთის ახალი უნივერსალური მაღაზიის შენობა.

ფოტო ი. ჯოხონელიძისა.

(საქდესის ფოტო-ქრონიკა).

ᲕᲐᲙᲐᲜᲡᲘᲐ ᲡᲐᲛᲘᲐ, ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲙᲘᲔᲕᲘ

ბელგი, 15 დეკემბერი. (საკდესი). ჩვენი ქვეყნის მოქალაქეკა ქალთა ჩემპიონატის ბოლო ტურის წინ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება, რომელმაც გამოავლინა მედლის ექვსი პრეტენდენტი. **ვ. კოზლოვსკაიას** აქვს 12,5 ქულა, **ტ. ზატულოვსკაიასა** და **მ. რანიკუს** — 12-12, **ვ. ბორისენკოს** — 11,5, ხოლო კ. სკეგინასა და ე. რუბცოვას — 11-11 ქულა.

ამ დღეს **კოზლოვსკაიამ** მოუგო **ივანოვას** და დამარცხდა **ბორისენკოსთან** შეხვედრაში. თამაშის განუახლებლად **არჩაკოვა** დანებდა **პოპრუკაილოს, რუბცოვამ** თავი დამარცხებულად ცნო **კონოპლიოვასთან** შეხვედრაში, ხოლო **სკეგინამ** წაგო **არჩაკოვასთან. კაკაბაძე** და **იგნატიევა** ყაიმზე შეთანხმდნენ. **იდელჩიმა** მოუგო **კაკაბაძეს** და ყაიმით დამთავრა შეხვედრა **მუსლმოვასთან. ბორისენკომ** გამოტოვებული პარტია მოუგო **კოლოტის.**

16 დეკემბერს პირველობის მეცხრამეტე, ბოლო ტურია.

ᲨᲔᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐ ᲘᲐᲜᲕᲠᲐᲛᲓᲔ

როგორც ვიუწყებოდით სსრ კავშირის კალათბურთელ ქალთა თორმეტმა უძლიერესმა კოლექტივმა ნოვოსიბირსკსა და კაუნასში დაამთავრა საკავშირო ჩემპიონატის პირველი ტური, ცხადდება შესვენება იანვრამდე.

ამ ტურმა ცხადყო, რომ პირველობის მთავარ პრეტენდენტად კვლავ სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონი რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის გუნდი რჩება, რომელმაც ხუთი შეხვედრიდან ხუთივე მოიგო.

აი როგორ გამოიყურება პირველი ტურის შემდეგ ნოვოსიბირსკის ექვსეული:

	თ.	გ.	წ.	ქ.
„დინამო“ (მოსკოვი)	5	4	1	4
„ურალმაში“ (სვერდლ.)	5	3	2	3
სპი (თბილისი)	5	3	2	3
სკა (ლენინგრადი)	5	3	2	3
„სიბირიაჩკა“ (ნოვოსიბ.)	5	2	3	2
„ბურევესტნიკი“ (როსტ.)	5	0	5	0

კაუნასის ექვსეული:

	თ.	გ.	წ.	ქ.
ტტტ (რიგა)	5	5	0	5
„პოლტეკნიკი“ (კაუნასი)	5	4	1	4
„დინამო“ (კიევი)	5	3	2	3
„ბურევესტნიკი“ (ლენინგრ.)	5	2	3	2
„უნივერსიტეტი“ (ტარტუ)	5	1	4	1
„სპარტაკი“ (მოსკ. ოლქი)	5	0	5	0

ᲡᲐᲠᲐᲢᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲓᲐᲝ ᲮᲐᲚᲘᲩᲔᲑᲖᲔ

საბჭოთა კლასიკურ მოჭიდაოვეთათვის მიმდინარე სპორტული სეზონი ნაყოფიერი გამოდგა. ახალგაზრდობამ, რომლითაც შეივსო გუნდები გაამართლა იმედი.

ამიტომ ახლა სპორტული სეზონის მიწურულში საკავშირო გუნდური ჩემპიონატი, რომელიც გუშინ გაიხსნა სარატოვში უყრადღების ცენტრში დგას. ეს ტურნირი გამოირჩევა მასობრივობით, შემადგენლობათა სიძლიერით. ჩვენი რესპუბლიკის გუნდთან ერთად სარიზო ადგილების პრეტენდენტები არიან რსფსრ, უკრაინის, მოსკოვის, ბელორუსიისა და ლენინგრადის მოჭიდაოვეთა კოლექტივები.

საქართველოს გუნდის შემადგენლობაში არიან: **დ. დავითაია, ზ. უგრეხელიძე, ო. რურუა, დ. გვანცელაძე, ო. თარგამაძე, ო. ბლიაძე, კ. ღულუნიშვილი, მ. ჩიბურდანიძე.**

დარჩა ხუთი ტური

გუშინ ტალინში მოეწყო საკავშირო საპადრაკო ჩემპიონატის უკანასკნელ ტურებში გადადებული პარტიების დამთავრება. **ხასინი** ბრძოლის განუახლებლად დანებდა **ტაიმანოვს, ლეპიოშკინი — სუეტინს. სუეტინმა** მოუგო **ლიავდანსკის.**

ამრიგად, ჩემპიონატის დამთავრებამდე ხუთი ტურით ადრე ლიდერია ლვოველი გროსმეისტერი **ლ. შტეინი,** რომელსაც 10 ქულა აქვს.

მესამე გამარჯვება კანადაში

მსოფლიოს ჩემპიონი შაიბიან ჰოკეიში სსრ კავშირის ნაკრები გუნდი განაგრძობს ტურნეს კანადაში. მორიგი, მესამე მატჩი ჩვენს ჰოკეისტებს ჰქონდათ „ონტარიოს ახალგაზრდა ვარსკვლავების“ საკლუბო გუნდთან. დასაწყისი საბჭოთა ჰოკეისტების სასარგებლოდ არაფვრს მეტყველებდა, თამაში მეტოქეებს მიჰყავდათ 3 : 1. მაგრამ ეს იყო და ეს, შემდეგ ჩვენმა ჰოკეისტებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და გაიმარჯვეს — 4:3.

სპორტული ქრონიკა

☐ **გუშინ** თბილისში დამთავრდა უკრაინისა და საქართველოს ტყვიის მსროლელთა ამხანაგური შეჯიბრება. გუნდურ ჩათვლაში წარმატება უკრაინის წარმომადგენლებს ხვდათ.

☐ **გრძელდება** საქართველოს პირველობის გათამაშება ასუჯრედიან შაშში. შვიდი ტურის შემდეგ წინ არის სოხუმელი **გ. ბარამიძე,** რომელსაც 6,5 ქულა აქვს.

ᲡᲐᲛᲨᲝᲒᲚᲝᲡ ᲛᲝᲦᲐᲚᲐᲢᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲐ

კრასნოდონი, (ლუგანსკის ოლქი) 14 დეკემბერი (საკდესის კორ.). ახალგაზრდა გვარდიელთა დაღუპვაში ავბედითი როლი შეასრულა სამშობლოს მოღალატემ ივანე მელნიკოვმა. ქალაქ კრასნოდონის ფაშისტური ოკუპაციის პირველი დღეებიდანვე მან სამსახური დაიწყო პოლიციაში. ჰიტლერელებმა დაფასეს მოღალატის „გულმოდგინეობა“. მას ავალებდნენ ხოლმე ყველაზე საეჭვო ოპერაციებს, რომლებიც დაკავშირებული იყო საბჭოთა პატრიოტების დაპატიმრებასთან, წამებასთან.

ი. მელნიკოვი თავის მეპატრონეებს — გერმანელ ფაშისტებს ერთგული ძაღლივით ემსახურებოდა, უთვალთვალებდა მამაც იატაკქვეშელებს, სცემდა მათ დაკითხვების დროს. სწორედ ი. მელნიკოვს მიჰყავდა კომკავშირელები № 5 შახტის შურფთან, სადაც მათ საშინელი სიკვდილი ელოდათ. იგი ხდიდა ნაცემ და გასისხლიანებულ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს და მიჰყავდა ისინი შურფთან, სადაც ჰიტლერელი ყაზარმები ელაგა სროლით ანლიდნენ ტყვიას თავიანთ მსხვერპლს, ზოგიერთებს კი ცოცხლად ჭყრიდნენ შახტის ჭაურში.

ოც წელზე მეტ ხანს იმალებოდა მოღალატე, მაგრამ შურისგებას ვერ აცდა. დღეს კრასნოდონში დაიწყო ი. მელნიკოვის ღია სასამართლო პროცესი. მას ასამართლებს საოლქო სასამართლოს გამსვლელი სესია ა. პ. შპილევოის თავმჯდომარეობით.

კულტურის სასახლის დარბაზში არიან ახალგაზრდა გვარდიელთა ნათესავები, ქალაქის მცხოვრებლები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. ასობით ადამიანი შეიკრიბა მოეცდაზე, სადაც უსმენდნენ პროცესს, რომელიც ტრანსლირებული იყო სასამართლოს დარბაზიდან. პირველ დღეს სასამართლომ დაკითხა განსასჯელი, მოსმენილ მოწმეთა ჩვენება.

იშვიათი ეგზემპლარი

კალინინგრადი, 14 დეკემბერი. (საკდესის კორ.). ხანგრძლივი ნაოსნობის შემდეგ ფლოტილია „ეერი დორგორეკი“ გავიდა რეწვის რაიონში და დაიწყო ვეშაპების ჭერა. გუშინ ბაზაში ალეუტიელ ფინგალის იშვიათი ეგზემპლარი. მისი წონაა 84 ტონა. ეს ვეშაპსანადირო „სტრემიტელნის“ მეჭარპუნე ეოზნაიკას ნანადირევია. ხოლო დღეს სეზონის პირველი მონადირეა ორმოცი კილოგრამი ამბარი.

ᲣᲠᲐᲚᲘᲡ ᲐᲚᲛᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ

რეპორტაჟი ალმასის საგადოდან

შრალმა უკვე დიდხანია გაითქვა ს

ელი როგორც მსოფლიოს უმდიდრესმა საკუჭნაომ. დედამიწაზე არ არის მეორე ისეთი ადგილი, სადაც ესოდენ მრავალფეროვნად და ასეთი რაოდენობით იყოს თავმოყრილი ყოველგვარი მინერალები და სასარგებლო წიაღისეული, რკინა, პალეზენი, ქვანახშირი, ნავთობი, ლალი, მალაქიტი — ურალის ყველა სიმდიდრის ჩამოთვლა მთელ რეპორტაჟს დაიკავებდა.

აქ საუბარი გვექნება ალმასებზე. იმ ალმასებზე, რომლებსაც ამაოდ ეძებდნენ ურალზე ას წელიწადზე მეტ ხანს, იმ დღიდან, რაც 1846 წელს უძლიერესი ელჭექისა და ზვიმის შემდეგ მდინარე ჩუსოვაიაზე იპოვნეს მუხუდოს მარცვლის ოდენა ფერადი თვალი. გრაფმა შუვალოვმა დაუყოვნებლივ გასცა განკარგულება დაეწყოთ ალმასის საბადოს ძიება. ძიება კი დაიწყეს, მაგრამ აქედან არა გამოვიდა რა. ბატონმა კარგად იცოდა ალმასების ფასი, მაგრამ გეოლოგიაში ცუდად ერკვეოდა. სპეციალისტები კი ამტკიცებდნენ, ურალზე ალმასები არ არის და არც შეიძლება იყოსო.

ალმასები კი მაინც იყო. დროდადრო მათ პოულობდნენ ჩუსოვაიასა და ვიშერის შენაკად ტაიგის პატარა მდინარეებში. ეს ალმოჩენები მეტად ეპიზოდური იყო... მაგრამ სწორედ ეს ეპიზოდური ალმოჩენები მოსვენებას არ აძლევდნენ გეოლოგებს. ალმასები ჰაერიდან ხომ არ ჩამოცვივდებოდა, ალბათ სადღაც საბადოც იყო. გეოლოგებიც საგულდაგულოდ მუშაობდნენ ტაიგის მოსახჯვაზე. და აი პირველი წარმატება: მდინარე ბოლშოი შჩუგორზე აღმოჩენილია ალმასის საბადო და დაიწყო მისი სამრეწველო ათვისება.

ალმასის საბადოზე ცნობისმოყვარეობისა და შეშფოთების შერეული გრძნობით მივდიოდი. ალბათ არცერთ ძვირფას ქვასთან არ არის დაკავშირებული იმდენი ლეგენდა და ისტორია, რამდენიც ალმასთან. ჩვეულებრივ და უაღრესად საქმიან გარემოში აღმოჩნდები. შჩუგორზე ალმასების მოპოვება დრაგის დახმარებით წარმოებს. გარეგნულად დრაგა მოგვაგონებს ჩვეულებრივ ბარჟს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ გემი მდინარის ზედაპირზე მიცურავს, ხოლო დრაგა მდინარის ფსკერზე მიიხოვავს.

ცვლა მუშაობას ამთავრებდა. ცვლის ოსტატი ლიუდმილა ბორისენკო თავის მეურნეობას უჩვენებდა. ეს მეურნეობა საკმაოდ ფართოა—დრაგა ხომ სამდვილი ქარხანაა სამუშაოთა დასრულებული ციკლით. თავისი ციცხვით დრაგა ღრღნის გრუნტს, შემდეგ ქვიშის, კენჭების, თიხის გორები გულმოდგინედ იმსხვრევა, იცრება, ირეცხება, სანამ, ბოლოს, სპეციალური ცხიმოვანი ნივთიერებით გაპოხილ მცირე ლილვაკზე ალმასი არ აელვარდება. აი, ჭეშმარიტად ერთი წლის შრომა და ერთი გრამი მონაპოვარი. კრამიც კი არა. ალმასის წონა კარატებით იზომება. ერთი კარატი სულ 0,2 გრაძია. ხუთკარატიანი ალმასი დიდ ალმასად ითვლება. შჩუგორზე პოულობენ ერთიდან 17 კარატამდე ალმასებს, შარმან ნაპოვნი რეკორდსმენი ალმასი კი 24 კარატს იწონიდა! მოხრდილი „ბაბარიტეია“.

— იაკუტიის ალმასებზე ყველა გაზეთსა და ჟურნალში გაპყვირიან, — წყვნის კილოთი მითხრა შემდეგ დრაგის უფროსმა ელექტრტექნიკოსმა ევგენი ოლიმპის-ძე ბოროვკომა. — ჩვენი ურალური „ქვები“ კი ხომ ზოგჯერ იაკუტიისზე მრავალჯერ უფრო მეტი ღირს. ისინი უფრო მაგარი, წმინდა და. რაც მთავარია, უფრო დიდია. გინდათ დარწმუნდეთ?

და აი ხელისგულზე ალმასების პატარა გროვა მაქვს. წარმოიდგინეთ... არაფერს არა ვგრძნობ. არც თრთოლვას, არც აღტაცებას. ჩვეულებრივი შუშებია, ოღონდ ეს არის, ოდნავ რომ მოხვდებათ შუქი, მილიონობით ცეცხლად აბდღვრიალდებიან.

— რამდენი ღირს ასეთი გროვა?

— რამდენი? — ბოროვკოვი ემმაკურად ჭუტავს თვალებს. — ყოველ შემთხვევაში საშუალო სიდიდის ქარხნის აშენებას ეყოფა.

— ოპო! — ჩემი პატივისცემა მუშებისადმი მყისვე ათას ერთი პროცენტით იზრდება.

თუ იაკუტიის ალმასები ძირითადად მრეწველობის საჭიროებებს ხმარდება, ურალის ალმასებს, მათი სიდიდის გამო, საიუველირო საქმეში იყენებენ. გათლილი ალმასი—ბრილიანტი—ყველაზე ძვირფასი სამკაულია. ახლა ალმასის მსოფლიო ბაზარზე ურალის ალმასები ისევე დიდად ფასობს, როგორც ბრაზილიისა.

დრაგა, რომელშიც ბოლშოი შჩუგორი „იწურება“, მხოლოდ მცირე ნაწილია იმ საშუშაოებისა, რაც ახლა ვიშერის აუზში წარმოებს. სადღაც აქ ძირეული ბუდობი უნდა იყოს. მაგრამ სად?

— შესაძლოა ახლა ამ საბადოზე ვდგავართ. მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ იგი საერთოდ არ არსებობდეს. ურალის ალმასები მთლად თავსამტკერვი საქმეა, მრავალუნებიანი ამოცანაა — ამას ამბობდა ტაკატის საძიებელი პარტიის მთავარი გეოლოგი ვიქტორ ალექსანდრეს-ძე ვეტჩანინოვი. აქ ყველაფერი გაუგებარია. გაუგებარია, საიდან გაჩნდა აქ ალმასები. მთელ დასავლეთ ურალზე ამოფრქვეული ქანების ნიმანწყალიც კი არ არის. ხოლო უიმათოდ კიმბერლიტის მილები არ არის, უმილებოდ კი, როგორც ცნობილია, ალმასები არ არის ხოლმე.

რა გამოდის? ამ რაიონში მილები არ არის, ალმასები კი არის. ახლა გეოლოგთა აზრები გაიყო. ზოგს მიაჩნია, რომ ურალის ალმასები „ემიგრანტებია“, რომ მათ აქ შუა რუსეთის მაღლობიდან მოაღწიეს მილიონობით წლის წინათ დედამიწის ზედაპირის ვულკანიური გარდაქმნების დროს. სხვები ამტკიცებენ, რომ ურალის ალმასები ნამდვილი „აბორიგენებია“, და სადღაც აქ ჩამალულია ძირეული ბუდობი. ახლა ძიება წარმოებს შჩუგორისა და კიდევ ორი მახლობელი პატარა მდინარის წყალგამყოფზე. აქ აღმოჩენილია ეგრეთწოდებული ტაკატის წყება—უძველესი ნალექები, რომლებშიც შესაძლოა დამალული იყოს ძირეული ბუდობი. ალმასების შემცველობა, რომლებსაც ახლა საცდელ კარიერებში იღებენ, რამდენჯერმე მეტია, ვიდრე ბოლშოი შჩუგორზე (კარიერები ნაპირის გაყოლებით კი არ მდებარეობენ. არამედ ტაიგის სიღრმეში). მაგრამ შჩუგორზეც რაც უფრო მაღლა მიიწევს დრაგა, მით უფრო მეტია ალმასების გამოსავლინობა, მით უფრო მდიდარია საბადო. ალმასების „ეპიცენტრი“ აშკარად სადღაც პოიმენნი კამენთან არის. აი ეს ლამაზი მთაც!

ამ დროს ღრუბლებიდან მზემ გამოანათა და ირგვლივ ყველაფერს რბილი შუქის ნაკადები მოჰფინა. ჩვენს წინაშე აღმართული იყო პოიმენნი კამენი — განსაცვიფრებელი სილამაზის მთა. მის მწვეროვლს თითქოს გვირგვინად ადგას კლდეთა ქონგურები. და უცებ მომეჩვენა, თითქოს ამ გვირგვინში მზის სხივებზე ალმასები აციაფდნენ.

— სწორედ პოიმენნი კამენის მთის ძირას ვტრიალებთ, — განაგრძო ვეტჩანინოვმა. — მაგრამ იცით, რას ნიშნავს ალმასების ძირეული ბუდობის პოვნა? ეს იგივეა, რომ ერთი მარცვალი საფანტი მოძებნო ელეგანტორზე — მთელი გორა ხორბალი უნდა გაცხრილო. ჩვენც ახლა ყოველ კვადრატულ მეტრ ტაიგას ვსინჯავთ. მთლად ისე, როგორც „საზღვაო ბრძოლის“ თამაშში. ძირეული ბუდობს მივაგნებთ, და მაშინ აქ მეორე მირნი იქნება.

მე გამეღიმა: იმ დაბის სახელწოდება, რომელშიც საძიებო პარტია მოთავსებულა, შემთხვევითი ვოლინკაა (გაჭიანურება). ეს სახელწოდება საუკეთესოდ შეესაბამება იმ სიტუაციას, რომელიც ახლა ალმასის კარიერებზე შეიქმნა. ჭიანურდება მუშაობა ალმასების ძებნაზე. რამდენ ხანს გაგრძელდება ეს? ძნელი სათქმელია. იაკუტიაში ალმასებს ოც წელიწადს ეძებდნენ. მაგრამ იაკუტიაში გეოლოგები უკვე წინასწარ მტკიცედ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ მიაგნებდნენ კიმბერლიტის მილებს. ამას აღმოსავლეთ ციმბირის ზეგანის გეოლოგიური აღნაგობაც მოწმობდა და ბევრი სხვა ფაქტორიც. ურალზე ყველაფერი გაცილებით უფრო რთულია. გეოლოგთა ოპტიმიზმი გასაგებია, გეოლოგები არ შეიძლება პესიმისტები იყონ უკვე თავიანთი პროფესიის გამო. მაგრამ თუ ძირეულ ბუდობს მიაგნეს (ხოლო დანამდვილებით შეიძლება ითქვას— იგი კიმბერლიტის მილი არ იქნება), ალმასების საქმეში ნამდვილი რევოლუცია მოხდება.

ჯერ კი... ჯერ შჩუგორის გორაკებიან